პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 159 (19301) ხუთშაბათი, 11 ივლისი, 1985 წელი, ფასი 3 კაპ.

[illegible]

საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი

რესპუბლიკის სასოფლო რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში ბოლო ორი წლის მანძილზე ბევრი საიჯარო ბრიგადა შეიქმნა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ და სასურველ შედეგებსაც აღწევენ. მარტო გარდაბნის რაიონში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კოლექტიური იჯარის მეთოდით მომუშავე 70 ბრიგადა შეიქმნა.

ეს შრომითი ქვეგანაყოფი ემყარება სამ მთავარ პრინციპს — სამეურნეო ანგარიშს, მუშაობის ორგანიზაციის კოლექტიურ ფორმას (ერთიანი იჯარით) და საბოლოო შედეგის მიხედვით შრომის ანაზღაურებას. იჯარა ბევრ მეურნეობაში თანდათან იხვეწება, სხვადასხვა ფორმას იძენს, ეგუება კონკრეტული კოლექტივის საწარმოო და სოციალურ პირობებს. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულია, უწინარესად, თვით ბრიგადირის ნიჭსა და უნარზე, შრომისმოყვარეობაზე, პირდაპირ შეგვიძლია ითქვას — ფანტაზიაზე. მაგალითად, გარდაბნის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკაში, ს. ბალახაძის ბრიგადის ექვსი წევრი ემსახურება ხუთ საფრინველეს, რომელთაგან თითოეულში 20 ათასი ბროილერია. ბრიგადირი გულდასმით გაეცნო სხვადასხვა საიჯარო ბრიგადის მეთოდებს, ბევრი რამ გადმოიღო, მაგრამ თავისი ნაფიქრალიც საკმაოდ მიუმატა და ახლა მისი ბრიგადა რესპუბლიკაში ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი მეურნეობრიობით, შრომის მაღალი შედეგით. შარშან 211 ტონა საკვები დაზოგეს. ამის შედეგად ცენტნერი ქათმის ხორცი 152 მანეთის ნაცვლად 138 მანეთი დაუჯდათ. შრომის ნაყოფიერება კოლექტივში 27 პროცენტით გაიზარდა. აქ ანაზღაურება ხდება საბოლოო შედეგის მიხედვით — ფულადი გამოხატულებით და ნატურით. ხულ ცოტა 1.200 გრამი წონის გეგმით გაზრდილი წიწილის რაოდენობის ბროილერების გაზრდისას ზეგეგმითი პროდუქციის 80 პროცენტი ბრიგადის წევრებს შორის ნაწილდება ნატურანაზღაურების სახით. თავის მხრივ, ადმინისტრაცია, რომელიც ბრიგადას ამარაგებს კომბინირებული საკვებით, პრემიას იძლევა მისი ეკონომიკური ხარჯვისათვის. ფულადი გასამ-

[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა „თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. სხდომაზე აღინიშნა, რომ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებამ ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატებების მიღწევას. გაფართოვდა და განახლდა საოპერო და საბალეტო რეპერტუარები, რომლებშიც შეტანილია რუსული და მსოფლიო კლასიკის თვალსაჩინო ნაწარმოებები, ქართველ კომპოზიტორთა ახალი ქმნილებები. სპექტაკლების მხატვრული დონის ამაღლებაზე სასიკეთო გავლენა მოახდინა ეკონომიკურმა ექსპერიმენტმა, რომელმაც თეატრის კოლექტივის შრომის ანაზღაურების სისტემის, მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება შექმნა. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში დასახულია ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა, რომლებიც ითვალისწინებენ თანამედროვე თემატიკის დადგმების, საბავშვო და საყმაწვილო სპექტაკლების შექმნას, კადრების მომზადების დონის ამაღლებას, საგასტროლო პოლიტიკის გაუმჯობესებას, რაც შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო გაიზარდოს რესპუბლიკის ამ წამყვანი თეატრალური კოლექტივის ნამუშევრებისადმი მაყურებლის ინტერესი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და ძირითადად მოიწონა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კასპის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ გარკვეული ძვრების მიუხედავად, შრომის დისციპლინის მდგომარეობა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომს, რაიაღმასკომს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას მიეთითათ, რომ ყოველმხრივ უნდა გააქტიურონ მეცადინეობა, რათა განამტკიცონ საწარმოო და შრომის დისციპლინა, გაზარდონ მუშებისა და კოლმეურნეების დაინტერესება შრომის საბოლოო შედეგებით. დაამკვიდრონ ახალგაზრდობა სოფლად რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საფუძველზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მხარი დაუჭირა „თბილისგვირაბმშენის", ამიერკავკასიის „ტრანსმშენის" სამმართველოების, საწარმოო გაერთიანებების „თბილისრძის", „საქარამადნეულის", თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის შრომითი კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს საქართველოს კომპარტიის მომავალი XXVII ყრილობის აღსანიშნავად ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 7 ნოემბრისათვის. მოწონებულია აგრეთვე ქალაქ ჭიათურის, ზესტაფონის, აგრეთვე ქალაქ თბილისის ლენინისა და ოქტომბრის რაიონების შრომითი კოლექტივების ინიციატივა სამრეწველო პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა სრული და მკაცრი შესრულების შესახებ. პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მოახმარონ მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომ ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, შრომის, ტექნოლოგიური და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას, თითოეულ სამუშაო ადგილზე მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის ყოველმხრივ გაძლიერებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა 1985-1986 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მომზადების მიმდინარეობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ნელა ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კაპიტალური მშენებლობის სტაბილური ფუნქციონირება. პარტიულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა დააჩქარონ სახალხო მეურნეობის ობიექტების მომზადება მომავალი ზამთრისათვის.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება პურისა და კვების სხვა პროდუქტების ხარჯვაში დადგენილი წესის დაცვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ამიერკავკასიის მეფრინველეობის ზონალური საცდელი სადგურის საქმიანობის შემოწმების შედეგები და უაღრესად არასაკმარისად ცნო მუშაობა, რომელსაც დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ეწევიან სამრეწველო მეფრინველეობის განვითარებისათვის, სელექციის, ფრინველის მოვლა-შენახვის ტექნოლოგიის სრულყოფის დარგში სამეცნიერო ნამუშევრების განხორციელებისათვის.

დისციპლინის შესუსტებისათვის, სამეცნიერო კვლევის ჯიშიანი ფრინველის წარმოების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისა და კანონიერების დარღვევის ფაქტების დაშვებისათვის ამიერკავკასიის მეფრინველეობის ზონალური საცდელი სადგურის დირექტორს, სკკპ წევრს ნ. ფ. კვამალს და ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორს, სკკპ წევრს ვ. ვ. ცომაიას გამოეცხადათ საყვედური. მიღებულ დადგენილებაში დასახულია სადგურის სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების, მისი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მებრძოლეობის გაძლიერების ღონისძიებანი.

[illegible]

სამდივნომ მოისმინა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. დ. მგელაძისა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის ამხ. თ. კ. ჯაბადარის ინფორმაციები რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში საკვების დამზადების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. სამდივნომ აღნიშნა, რომ ზოგიერთ რაიონში საკვების დამზადებისათვის არასაკმარისი მუშაობა მიმდინარეობს და მოითხოვა აამაღლონ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მკვეთრად უნდა დაჩქარდეს სამუშაოთა ტემპი, მეცხოველეობა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ საკვებით პირუტყვის პროდუქტიულობის შემდგომი ზრდის, დამზადებული საკვების ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების, თითოეული საკვები ჰექტარის უკუგების გადიდების მიზნით. დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხთა გამო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალური საინფორმაციო ორგანოს შექმნის 60 წლისთავს.

საკდესი და რესპუბლიკური სააგენტოები, რომლებიც შეადგენენ ერთიან სახელმწიფო საინფორმაციო სისტემას, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენების ამსახველი ინფორმაციის მთავარი წყაროებია.

საკდესის, მისი კორესპონდენტების ცნობები ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ათასობით გაზეთის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით აღწევენ უფართოეს აუდიტორიას მთელ მსოფლიოში. ეს ცნობები ყოველმხრივ აშუქებენ, თუ როგორ ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური გეზი, რომელიც ითვალისწინებს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ყოველმხრივ სრულყოფას, წარმოაჩენენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წარმატებებს, დასაბუთებულად უწევენ პროპაგანდას მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, დამაჯერებლად ამხილებენ მშვიდობის მტრების აგრესიულ ხრიკებს.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საკდესის მთელი საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობა კვლავაც დაკავშირებული იქნება ჩვენი დღეების ისეთი უმთავრესი ამოცანების გადაწყვეტასთან, როგორიც არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი ურთიერთმოქმედების განმტკიცება, ბირთვული ომის წინააღმდეგ საბრძოლველად მშვიდობისა და პროგრესის ძალების დარაზმვა. დარწმუნებული ვართ, რომ საკდესის ჟურნალისტები, რომლებიც სრულყოფენ პროფესიულ ოსტატობას, უზრუნველყოფენ მასალების შინაარსიანობას, ინფორმაციულ სიმრავლეს, ოპერატიულობას მუშაობაში, კონკრეტულ წვლილს შეიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და მითითებების განხორციელებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისათვის მზადებაში.

ვუსურვებთ საკდესის ყველა მუშაკს ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მ. ს. გორბაჩოვი მინსკში გაემგზავრა

10 ივლისს მოსკოვიდან მინსკში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ჰ. ა. ალიევმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. ა. გრომიკომ, ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ნ. ი. რიჟკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ნ. ა. ტიხონოვმა, ე. ა. შევარდნაძემ, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სხვა ამხანაგებმა.

• • •

მინსკის აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვს დახვდნენ ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ნ. სლიუნკოვი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ე. პოლიაკოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ბროვიკოვი. (საკდესი).

ეროვნული დღესასწაულის გამო

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟამბინ ბატმუნხს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დუმაგიინ სოდნომს გაუგზავნეს მისალოცი დეპეშა ეროვნული დღესასწაულის — მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 64 წლისთავის გამო.

მადლობა მილოცვისათვის

გულითად მადლობას მოვახსენებ პარტიულ, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების შრომით კოლექტივებს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებს, ყველა ამხანაგს, რომლებმაც მომილოცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე არჩევა.

მათგან მიღებული მისალმებანი და კეთილი სურვილები მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ძალ-ღონე არ დაიშურონ, რათა მიაღწიონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, მშვიდობის განმტკიცებას.

დიდ მადლობას ვუხდი ჩემი მისამართით გამოგზავნილი მილოცვისათვის მოძმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობების ხელმძღვანელებს, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს.

ა. გრომიკო.

უხეში საკვები პლუს ნაწვერალი...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ითქვა: მარნეულელი და ბოლნისელი საკვებმომპოვებლები მინდორში ნამჯასა და ბალახს ვერ ამჩნევენ

ახლა მინდვრად ის დროა, როცა კარგი მეურნე ერთ თავთავს, ან ერთ ბღუჯა ნამჯასა და თივას არ დატოვებს. ასე უნდა ფიქრობდეს და მოქმედებდეს საკვებმომპოვებელიც, მექანიზატორიც, ფერმის მუშაკიც, სპეციალისტიც და საზოგადოებ-

[illegible]

სადაც მკაცრად აღინიშნა, რომ ზოგიერთი რაიონის საკვებმომპოვებლებმა ხელიდან გაუშვეს ხელსაყრელი დრო და არსებითად შეამცირეს პირუტყვის საკვების დამზადება. უხეში საკვების დამზადების საქმეში ჩამორჩნენ მარნეულის, ბოლნისის, კასპის, ადიგენის, საჩხერის, წყალტუბოს რაიონებისა და აფხაზეთის ასსრ საკვებმომპოვებლები.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ მარნეულისა და ბოლნისის რაიონების საკვებმომპოვებლებს. ამის თაობაზე „კომუნისტის" რედაქციის მუშაკი შეხვდა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საკვებწარმოების მთავარი სამმართველოს უფროსს ნ. გოდ-

[illegible]

ტებებსაც აღწევენ. მოწინავეთა შორის უნდა დავასახელოთ წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლის და სხვა რაიონები. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც უკანასკნელი ოპერატიული ცნობები მეტყველებენ, უხეში საკვების დამზადებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ მარნეულისა და ბოლნისის რაიონები.

მოვიყვანოთ ფაქტები: წელს მარნეულელებმა 26.800 ტონა თივა უნდა დაამზადონ. თივის დამზადების საუკეთესო ვადა გადის, მარნეულელებმა კი 2.900 ტონაზე მეტი ვერ დაამზადეს. თივის დამზადების ტემპის შენელებას ისიც მოწმობს, რომ შარშანდელთან შედარებით წელს

[illegible]

1.500 ტონით ნაკლები დაამზადეს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, უშუალოდ ამ საქმის მოთავეებმა ყურადღება შეასუსტეს, საკვებმომპოვებლები ვერ დარაზმეს და შედეგიც სავალალოა. სენაჟის დამზადების

[illegible]

დამზადების გეგმის შეუსრულებლობა მეორე მეტად საჭირო საქმესაც აფერხებს. აქ თაიგაიანები 1500 ჰექტარზე აქვთ მოთესილი, მაგრამ იმის გამო, რომ ნამჯა ვერ შეაგროვეს, სანაწვერალო კულტურები მხოლოდ 900 ჰექტარზე დათესეს.

ვერაფრით ვერ იმართლებენ თავს მარნეულის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ზ. გოგოლაძე და სხვა ამხანაგები, რომლებსაც მეტი ორგანიზებულობა, მინდობილი საქმის მეტი სიყვარული და ერთგულება რომ გამოეჩინათ, ალბათ ეს არ მოხდებოდა.

მარნეულელებს ბოლნისელებმაც „აუბეს" მხარი ჩამორჩენაში. ბოლნისის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ბ. გელერი დიდი ხნის გამოცდილი მუშაკია, მაგრამ ეტყობა ამ ბოლო დროს ყურადღება მოადუნა, მკაცრ მომთხოვნელობას ვერ იჩენდა, ამიტომაც რაიონის საკვებმომპოვებლების ჩამორჩენის საქმე, ისევე როგორც მარნეულელებისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მკაცრი განსჯის საგანი გახდა. ანდა, როგორ არ გახდებოდა, როცა თივის დამზადების გეგმა ბოლნისელებს 7 პროცენტით აქვთ „შესრულებული", 9.380 ტონის ნაცვლად დამზადებულია 682 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 273 ტონით ნაკლები. სენაჟის დამზადების გეგმა კი შეასრულეს, მაგრამ შარშანდელთან შედარებით 6.870 ტონით ნაკლები სენაჟი აქვთ ჩადებული. ნამჯის დაგროვებაც ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, ნაცვლად 5.430 ტონისა 394 ტონა დაზვინეს. და ეს იმ დროს, როცა ათას ჰექტარამდე მომკილ ნაყანევში ნამჯა შესაგროვებელია და ფუჭდება. მინდვრად დარჩენილი ნამჯა სანაწვერალო კულტურების თესვასაც აფერხებს, ჯერჯერობით 218 ჰექტარის დათესვა „მოახერხეს". სილოსის წარმოების საქმეც სავალალოა — 15.000 ტონიდან მხოლოდ 3.900 ტონა, ანუ შარშანდელთან შედარებით 3.500 ტონით ნაკლებია დამზადებული.

აქვე დავძენთ, რომ უხეში საკვების დაგროვების საქმე რესპუბლიკაში მართალია შარშანდელთან შედარებით უპირატესი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ამან არ უნდა დაგვამშვიდოს, რადგან თვითდამშვიდება მოდუნებას იწვევს, მოდუნება კი საქმის ჩამორჩენას.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერების უმაღლეს მიღწევათა ფართო დანერგვა, ტექნიკური განახლება, სამამულო თუ უცხოური მარკის დიდმწარმოებლური დანადგარების წარმოების სამსახურში ჩაყენება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის მიერ ხუთწლედის მეთოთხე და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი გახდა.

ხელის შრომის ხვედრითი წილის საგრძნობმა შემცირებამ, სამუშაო პირობების გაუმჯობესებამ კოლექტივს საშუალება მისცა გაეზარდა შრომის ნაყოფიერება, ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით შეესრულებინა სახელმწიფო გეგმები, გადაეწყვიტა არაერთი სოციალური, საბინაო თუ საყოფაცხოვრებო პრობლემა. ყოველივე ამან ერთგვარად გაზარდა მეტალურგის პროფესიის პრესტიჟულობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქარხნისათვის სასიცოცხლო პრობლემის გადაწყვეტას — კოლექტივის სტაბილიზაციას.

ტექნიკური განახლების ტემპის ზრდა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მილსაგლინავ საამქროში, რომელიც თავისი სიდიდისა და ქარხნის საერთო პროდუქციაში დიდი ხვედრითი წილის გამო თითქმის ქარხანაა ქარხანაში. ქვეყნის სახალხო მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიც არის ნავთობისა და გაზის მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და სოფლის მეურნეობა, საამქრო ამარაგებს მილებით. გარდა ამისა, რუსთაველ მეტალურგთა ნაწარმი იგზავნება საზღვარგარეთის ათობით ქვეყანაში.

ახლახან საამქროში მწყობრში ჩადგა მილების გადასაბმელი ქუროების საჭრელი და ხრახნის დასამუშავებელი მოწყობილობათა პირველი რიგი, რომლის დამონტაჟებასა და ამუშავებაში წილი უდევთ ახალგაზრდა ავსტრიელ ინჟინრებს რუპერტ კრამერს, კრისტიან ერტლსა და ერნსტ ბერკტალერს.

რამდენიმე თვე გრძელდებოდა ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობა უცხოელ და ქართველ სპეციალისტებს შორის. ავსტრიელებმა თავიანთ ქართველ კოლეგებს გააცნეს მოწყობილობის მუშაობის პრინციპი, რომელიც ემყარება უზუსტეს გამოთვლით ტექნიკას. დანადგარზე დამონტაჟებული მანიპულატორები და რობოტული ტექნიკა სავსებით გამორიცხავს ხელის შრომას. მასზე გამოშვებული და დამუშავებული ქუროები მთლიანად შეესაბამება მსოფლიო სტანდარტების თანამედროვე მოთხოვნებს.

ახალგაზრდა რუსთაველმა სპეციალისტებმა ბადრი ბებიამ, გურამ ჩიტიძემ, ოთარ ივანიძემ, ედუარდ ჩირგაძემ, სერგო ლეონოვმა და ვლადიმერ გლუხოვმა სრულყოფილად აითვისეს მოწყობილობის დამონტაჟებისა და ამუშავების ოპერაციები.

რუსთაველი მეტალურგები ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

ა. კორძაია,
„კომუნისტის" შტატგარეშე კორ.

განვავითაროთ მასების აქტიურობა

ენერგიულ თანაშემწეებად იდგნენ მხარში პარტიის ინტენსიური განვითარების რელსებზე ეკონომიკის გადასაყვანად მიმდინარე მუშაობაში — ეს მიაჩნიათ თავიანთ მოვალეობად პროფესიულ კავშირებს, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ორგანიზაციებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის დებულებებიდან გამომდინარე პოლიტიკური ამოცანების შესახებ იყო სჯა-ბაასი პროფკავშირული აქტივის, მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებრიობის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კრებაზე, რომელიც 9 ივლისს გაიმართა.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ს. ა. შალაევის მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები და საბჭოები, რომლებმაც შრომით კოლექტივებში მოაწყვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირის შედეგების განხილვა, ისწრაფვიან უზრუნველყონ პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების მჭიდრო თანამოქმედება პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის პრაქტიკულ განხორციელებაში, ჩაბან ყველა მუშა და მოსამსახურე წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საქმეში.

(საკდესი).

პარტიული ცხოვრება:

ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

წნორის მექანიკური ქარხნის პარტიული კრების მუშაობაში, რომელმაც მოისმინა საწარმოს დირექტორის დ. ჯანაშვილის ანგარიში და ამასთან დაამტკიცა მისი პარტიული დახასიათება, მონაწილეობდა კიდევ რამდენიმე კომუნისტი, რომლებიც ამ პარტიულ ორგანიზაციაში აღრიცხვაზე არ არიან. ისინი წარმოადგენდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილ კომუნისტთა ანგარიშების მოსმენისა და მათი პარტიული დახასიათების დამტკიცების პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების სამუშაო ჯგუფს.

კრებამ თავიდანვე მწვავე, პრინციპული ხასიათი მიიღო. ორატორებმა — მუშებმა და ინჟინრებმა, ტექნოლოგებმა და მოსამსახურეებმა აღნიშნეს ხელმძღვანელის საქმიანი ორგანიზატორული თვისებები. პირუთვნელად ილაპარაკეს მის ნაკლოვანებებზე. დიახ, მისი მომთხოვნელობის, წარმოების გაძღოლის უნარის მეოხებით საწარმოს კოლექტივმა შეასრულა ექვსი თვის დავალება, სახელშეკრულებო მიწოდებათა ვალდებულებანი. გარკვეული წარმატებანი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში.

მაგრამ ქარხნის კომუნისტებმა უყურადღებოდ არ დატოვეს ის

აზრი პირადია, შეფასება — საერთო

ფაქტი, რომ გეგმა ყველა ტექნიკურეკონომიკური მაჩვენებლით არ შესრულდა. ჯერ კიდევ დაბალია პროდუქციის ხარისხი. წლის დამდეგიდან საწარმომ მიიღო ორი რეკლამაცია, გადაიხადა 1300 მანეთი ჯარიმა. ქარხნის დირექტორი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს წარმოებაში მეცნიერულტექნიკური პროგრესის მიღწევების, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის გავრცელებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

საწარმოს კომუნისტები, მშრომელები ვერ შეურიგდებიან აგრეთვე კოლექტივის სოციალური განვითარებისადმი დირექტორის უყურადღებობას, უტაქტობას, ხელქვეითებთან უხეშ დამოკიდებულებას. ეტყობა, წინათ სამჯერ მიღებული პარტიული სასჯელიდან ხელმძღვანელს სათანადო დასკვნები არ გამოუტანია. სხვათა შორის, მისი, როგორც კომუნისტის, რა აქტიურობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა დირექტორი საწარმოში უკანასკნელ ხანს ჩვიდმეტჯერ გამართული პარტიული კრებიდან მხოლოდ ორში მონაწილეობდა.

ყოველივე ეს გაითვალისწინა კრებამ, როცა თავისი გადაწყვეტილება გამოჰქონდა — ქარხნის დირექტორს, კომუნისტ დ. ჯანაშვილს გამოუცხადა საყვედური.

• • •

წნორის მექანიკური ქარხნის კომუნისტების მიერ წამოწყებული საქმიანი ტონი გაიზიარა იმავე დღეს სიღნაღში გამართულმა ზონალურმა თათბირ-სემინარმა, სადაც განიხილეს კომუნისტების ანგარიშების ჩაბარების პრაქტიკა და მათი პარტიული დახასიათების დამტკიცება ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავისა და წითელწყაროს რაიონებში.

ამ რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა, რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის წევრთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ აქ ახლა მეტი ყურადღება ეთმობა პარტიული კრებების მომზადებასა და მოწყობას, მნიშვნელოვნად გაძლიერდა, კიდევ უფრო ქმედითი გახდა დახმარება, რომელსაც რაიონული კომიტეტები უწევენ პირველადს პარტორგანიზაციებს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია კომუნისტთა ანგარიშების ჩაბარებასა და მათი პარტიული დახასიათებების დამტკიცებასთან, რეგულარულად განიხილავენ პარტიის რაიკომების ბიუროთა სხდომებზე. როგორც ანალიზი ცხადყოფს, იქ, სადაც საქმე სწორად არის დაყენებული, კომუნისტები გულახდილად გამოთქვამენ თავიანთ აზრს, აქტიურად უწყობენ ხელს წესრიგის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას. პარტიულ კრებებზე იმართება მწვავე, პრინციპული სჯა-ბაასი, რაც დადებითს გავლენას ახდენს პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობაზე, აჯანსაღებს შინაპარტიულ ურთიერთობას, საშუალებას იძლევა დროული რეაგირება მოახდინონ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა შეიხსენ მიღწევებს და მთელი ყურადღება მიაპყრეს ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს შემდგომი კონტროლი პარტიის რაიკომებთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების მხრივ, აქტიურად გამოიყენონ ადგილობრივი პრესის შესაძლებლობანი. გამოითქვა კონკრეტული წინადადებანი ბრალეული კომუნისტების მიმართ პარტიული სასჯელის ღონისძიებათა განსაზღვრისას ფორმალიზმის ფაქტების აღმოფხვრის, შრომითს კოლექტივებში პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში პარტიული ატესტაციის როლის ამაღლების შესახებ.

დაინტერესებული სჯა-ბაასი არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზების, საარსებო ამოცანების რეალიზაციის თაობაზე გაგრძელდა „მრგვალი მაგიდის" გარშემო საუბრის დროს.

• • •

რესპუბლიკაში პარტიული დახასიათებები უკვე დაუმტკიცდა 23857 სკკპ წევრსა და წევრობის კანდიდატს. მათ შორის 13569 მუშა და კოლმეურნეა, 21165 — მოსამსახურე, 206 — სტუდენტი და მოსწავლე, 346 — პენსიონერი, რომელთა შორის 141 პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანია. 71 დიასახლისი. პარტიული დახასიათებანი დაუმტკიცდა 526 პარტიულ, 1177 საბჭოთა, 407 პროფკავშირულ, 847 კომკავშირულ მუშაკს, 8989 საწარმოს და დაწესებულების ხელმძღვანელს, 7660 საშუალო რგოლის ხელმძღვანელს, დამტკიცდა 26995 კომუნისტისა და სკკპ წევრობის კანდიდატის დადებითი დახასიათება ცალკეული სურვილებით, რომელთა მიზანია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ხოლო 192-ს გამოეცხადა მადლობა. დაწინაურებლად რეზერვში რეკომენდებულია 481 კაცი, 3005 კომუნისტს დაედო პარტიული სასჯელი, ხოლო 78 კაცი გაირიცხა სკკპ რიგებიდან. დაისვა საკითხი 181 მუშაკის დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეუწონლობის შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილებანი გარკვეული დროის გასვლის შემდეგ განმეორებით მოისმინონ 3852 კომუნისტის ანგარიში. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. **რ. შ. მხეიძე** პარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველ მდივნად მის არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად აირჩიეს ამხ. **ლ. დ. ჩხეიძე**, რომელიც სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ნ. ენუქიძემ.**

(საქინფორმი).

დოკუმენტების კრებული

გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული პირველი ტომი წიგნისა „ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები. 1968 წელი". იგი მოიცავს პერიოდს იანვრიდან ივნისის ჩათვლით.

წიგნის მასალები მოწმობს, რაოდენ განუხრელად და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რა ინტენსიურ ძალისხმევას მიმართავდნენ სსრ კავშირი და მოძმე სოციალისტური ქვეყნები თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარებისა და სრულყოფისათვის. ისინი მოწმობენ საბჭოთა კავშირის მისწრაფებას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისადმი.

წიგნში ასახულია სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის შემდგომი ზრდა.

წიგნი პოლიტგამმა გამოუშვა.

(საქინფორმი).

გორის რაიონის საკვებმომზადებლებმა უკვე დაამზადეს 20 ათასი ტონა სენაჟი, წლიური გეგმით გათვალისწინებული 19600 ტონის ნაცვლად.

წლიური დავალება პირველებმა შეასრულეს ტირძნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა, რომლებმაც უკვე ჩადეს 1250 ტონა სენაჟი.

სურათზე: სასენაჟე მწვანე მასის დამზადება გორის რაიონის სოფელ ტირძნისის საბჭოთა მეურნეობაში.

თ. ნაფიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„...განაწილება არის წარმოების გადიდების მეთოდი, იარაღი, საშუალება".

ვ. ი. ლენინი.

ინდივიდუალური წვლილის შესაბამისად

შრომის ანაზღაურების საკითხს ბრიგადული ორგანიზაციის სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია. ანაზღაურების მექანიზმის სწორად შერჩევაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შრომის ბრიგადული ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ უპირატესობათა ყოველმხრივი განხორციელება.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ ბრიგადის შრომის ანაზღაურების სისტემა და ფორმა უნდა შეესაბამებოდეს წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკურ პირობებს, პროფესიულ-კვალიფიკაციურ შემადგენლობას, მუშების ეკონომიკურ ცოდნას, მათ თეორიულ-პრაქტიკული მომზადების დონეს. [illegible] შრომის ანაზღაურების წესმა შეიძლება დაკარგოს მასტიმულირებელი ფუნქცია და შრომის ნაყოფიერების ზრდის შემაფერხებელ ფაქტორადაც კი იქცეს.

ბრიგადა ერთი განწესით უნდა მუშაობდეს, ბრიგადის კოლექტიური ხელფასის ფონდი, რომელიც მის წევრებს შორის უნდა განაწილდეს, საჭიროა განისაზღვროს შრომის საბოლოო შედეგების მიხედვით. ერთ განწესზე მყოფი ბრიგადის წევრებს აერთიანებს ერთი მიზანი — საბოლოო შედეგი. ამისათვის კი აუცილებელია მათთვის დაკისრებული ყველა ფუნქციისა და ოპერაციის დროული და ხარისხიანი შესრულება, მოწყობილობის, რესურსების და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება.

სტატისტიკური მონაცემებით, 1985 წლის დამდეგისათვის საქართველოს სამრეწველო საწარმოებში მომუშავე 17 ათასამდე ბრიგადიდან ერთ განწესზე 74 პროცენტი მუშაობდა. ერთი განწესით მომუშავე ბრიგადისათვის თვის დამლევს შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად განისაზღვრება ხელფასის ფონდი და დგება ბრიგადის წევრთა შორის მისი განაწილების საკითხი.

ლენინი გვასწავლიდა, რომ „... განაწილება არის წარმოების გადიდების მეთოდი, იარაღი, საშუალება". ბრიგადის ხელფასის ფონდის განაწილების წესი მხოლოდ მაშინ ჩადგება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების ეფექტიანობის გადიდების სამსახურში, როცა იგი დააკმაყოფილებს ზნეობრივად განვითარებული ადამიანისათვის დამახასიათებელ მოთხოვნებს. შრომის ანაზღაურება უნდა იყოს სამართლიანი, მორალურად გამართლებული; წინააღმდეგ შემთხვევაში ბრიგადის კოლექტივში მოსალოდნელია ფსიქოლოგიური კლიმატის გაუარესება, კონფლიქტური სიტუაციები, შრომის ნაყოფიერების შემცირება, პასუხისმგებლობის მოდუნება, პროდუქციის ხარისხის გაუარესება და ა. შ.

ამიტომ ბრიგადის თითოეულ წევრს ხელფასი უნდა მიეცეს კოლექტივის შრომის შედეგების მიხედვით, ინდივიდუალური წვლილის შესაბამისად. აღნიშნულის გამო, საქმე გვაქვს თითოეული მუშის შრომითი წვლილის ზუსტი და ობიექტური შეფასების

შრომის ანაზღაურება მორალურად უნდა იყოს გამართლებული

პრობლემასთან. ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის მიმართავენ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში შრომის ბრიგადული ორგანიზაციის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების შესახებ აღნიშნულია, რომ ბრიგადის საქმიანობა უნდა ემყარებოდეს ანაზღაურებას შრომის საბოლოო შედეგების მიხედვით, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით. ბრიგადების სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში ცალკეა გამოყოფილი იმ ბრიგადების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს.

რადგან ზემდგომი ორგანოები ასეთ დიდ ყურადღებას აქცევენ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებას, ზოგიერთ საწარმოში ცდილობენ შექმნან მისი გამოყენების მოჩვენებითობა. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში", მაგალითად, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი გამოიყენება ბრიგადის თითოეული მუშისათვის „საჭირო" სიდიდის ხელფასის გამოსაყვანად, ხოლო მეორე გაერთიანებაში — „თბილისხელსაწყოში" შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს პრაქტიკულად არ იყენებენ. მას ფორმალურად წერენ და მუშათა ხელფასის განსაზღვრასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ერთი განწესით მომუშავე 8 ათას ბრიგადაზე მეტი, ანუ მათი საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი, იყენებს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს. ეს ოფიციალური მონაცემებით, მაგრამ სინამდვილეში ბრიგადების რაოდენობა, რომლებიც პრაქტიკულად სწორად იყენებენ მას, გაცილებით ნაკლებია.

შეიძლება დაისვას კითხვა: აუცილებელია თუ არა შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენება? აქვე დავძენთ, რომ ასე კატეგორიულად საკითხის დასმა არ იქნება სწორი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ბრიგადაში ხელფასის განაწილების მხოლოდ ისეთი მექანიზმი უნდა გამოვიყენოთ, რომლისთვისაც მზად არის კოლექტივი, გასაგებია მისთვის და შეესაბამება მის სურვილს.

საწარმოში მუშებს უნდა გააცნონ ბრიგადის ხელფასის ფონდის განაწილების ყველა შესაძლო ვარიანტი, პრაქტიკულად უნდა დაანახვონ თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები და საწარმოო პირობებიდან გამომდინარე შეირჩეს ყველაზე მიზანშეწონილი ხერხი.

ამჟამად ბრიგადაზე დარიცხული ხელფასის განაწილების მარტივი და ფართოდ გავრცელებული ხერხია განაწილება მუშის თანრიგის და ნამუშევარი დროის პროპორციულად. თუ ბრიგადის პროფესიულ-კვალიფიკაციური შემადგენლობა სრულად შეესაბამება შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და სირთულეს და ბრიგადის ყველა წევრი ერთნაირი მონდომებით შრომობს, მაშინ კვალიფიკაციის დონე და ნამუშევარი დრო საკმაო სიზუსტით ასახავს თითოეულის წვლილს ბრიგადის შრომის საბოლოო შედეგებში.

მაგრამ ასეთი სრული და მუდმივი შესაბამისობის დამყარება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან უმეტეს შემთხვევაში პერიოდულად იცვლება ბრიგადის მიერ შესასრულებელი სამუშაოები, როდესაც ცალკეული მუშა, როგორც წესი, ასრულებს სხვადასხვა სირთულის სამუშაოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ერთნაირ პირობებში მომუშავე, ერთი და იგივე თანრიგის მუშის ინდივიდუალური შრომის ნაყოფიერება, ერთსა და იმავე დროში შესრულებული სამუშაოს მოცულობა მკვეთრად შეიძლება განსხვავდებოდეს, იმიტომ რომ განსხვავებულია მათი ინდივიდუალური ოსტატობის დონე, მოხერხება, გაწაფულობა და სამუშაოს შესრულების სისწრაფე...

შრომის ინდივიდუალური ორგანიზაციისა და ანაზღაურების დროს დადგენილი სატარიფო განაკვეთი და ნორმების შესრულების პროცენტი საკმაოდ ზუსტად ასახავს მუშის წვლილს უბნის, საამქროს მუშაობის შედეგებში. კოლექტიური ორგანიზაციის დროს კი, თუ ბრიგადაზე დარიცხული ხელფასის მუშებისათვის განაწილება ხდება მხოლოდ სატარიფო თანრიგის და ნამუშევარი დროის მიხედვით, გაუთვალისწინებელი რჩება ცალკეული მუშის ინდივიდუალური შრომის ნაყოფიერება. ამის გამო ხელფასის განაწილების აღნიშნული ხერხი ვერ უზრუნველყოფს თითოეულის შრომითი წვლილის ზუსტ და ობიექტურ განსაზღვრას და შეიცავს განაწილების გათანაბრების ელემენტებს.

რას იწვევს ეს? ასეთ ბრიგადებში მუშა არ არის დაინტერესებული შეასრულოს რთული სამუშაო, შეითავსოს პროფესიები, მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი. უარესდება მუშების ურთიერთდამოკიდებულება, იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, სუსტდება ბრიგადის ცალკეული წევრების პასუხისმგებლობა და მცირდება შრომის ნაყოფიერება.

ასეთ ბრიგადებში გაერთიანებაზე მაღალი კვალიფიკაციის მუშები უარყოფით რეაგირებას ახდენენ, და ეს გასაგებია: გათანაბრება მათ აყენებს არა იმდენად მატერიალურს, რამდენადაც მორალურ ზარალს, რადგან ეს მათი შრომის მნიშვნელობის, შრომითი წვლილის დაუფასებლობაა, ავტორიტეტის შელახვაა.

კოლექტივის შრომით საქმიანობაში ცალკეული პიროვნების ინდივიდუალური წვლილის შესაფასებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო მისი კვალიფიკაცია და ნამუშევარი დრო, არამედ პროფესიული კეთილსინდისიერებაც, თუ გვსურს თითოეულის წვლილი ობიექტურად და ზუსტად შევაფასოთ, აუცილებელია, რომ ეს განახორციელოს თვით ბრიგადის კოლექტივმა. ამის საშუალებას შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი იძლევა.

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი, როგორც წესი, უნდა დადგინდეს ბრიგადის თითოეული წევრისათვის ბრიგადის საბჭოს სხდომაზე, და თუ იგი შექმნილი არ არის, მაშინ — ბრიგადის საერთო კრებაზე. შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს თითოეული მუშისათვის ადგენენ მაჩვენებლების გათვალისწინებით, რომლებიც პირობითად ორ ჯგუფად იყოფა:

პირველი ჯგუფის მაჩვენებლებია შრომის ნაყოფიერება, სამუშაოს სირთულე და პროდუქციის ხარისხი.

მეორე ჯგუფის მაჩვენებლებით ხასიათდება ბრიგადის წევრის დამოკიდებულება შრომისადმი, კოლექტივისადმი. მათი გათვალისწინებით, მაჩვენებელთა პირველი ჯგუფის საფუძველზე განსაზღვრული შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს.

მეორე ჯგუფის მაჩვენებლებს, რომლებიც ადიდებენ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს, მიეკუთვნება მაღალი პროფესიული ოსტატობა, გამოცდილების გაზიარება და ბრიგადის წევრებისადმი დახმარება, შრომის ეფექტიანობის გადიდებაში გამოჩენილი აქტიურობა და ინიციატივა, ახალი ტექნიკის ათვისება, საწარმოო მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესება, მომიჯნავე პროფესიებისა და ოპერაციების ათვისება, მატერიალური რესურსების ეკონომია და სხვა.

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის შემამცირებელ მაჩვენებლებს მიეკუთვნება საწარმოო დავალების შეუსრულებლობა, პროდუქციის არადროული ჩაბარება, ოსტატისა და ბრიგადირის მითითების შეუსრულებლობა, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დადგენილი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაუცველობა, შრომის ტექნიკური უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, მატერიალური რესურსების არარაციონალური გამოყენება და სხვ.

ბრიგადის ცალკეული წევრების შრომის ანაზღაურების სიდიდეთა შორის დაუსაბუთებლად დიდი განსხვავების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია დადგინდეს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობანი.

ჩამოყალიბდა შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენების რამოდენიმე ვარიანტი. პირველი გახლავთ, როდესაც შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით ნაწილდება ბრიგადის მთელი ხელფასი. ამ ვარიანტის დროს არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევა, როდესაც მთლიანად ბრიგადა შეასრულებს საგეგმო დავალებას, ცალკეული მუშა კი ვერ მიიღებს ნამუშევარი დროის შესაბამისად სატარიფო ხელფასს. ამიტომ უფრო გამართლებულია, როდესაც ბრიგადის ხელფასის ტარიფული ნაწილი მუშებს შორის ნაწილდება მინიჭებული თანრიგისა და ნამუშევარი საათების მიხედვით. ხოლო შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით ნაწილდება სანარდო დანამატი და პრემია, ან მხოლოდ პრემია. ესე იგი როდესაც ხელფასის სატარიფო ნაწილი ბრიგადის თითოეულ წევრს დაერიცხება ბრიგადის კოლექტიური შრომის შედეგების მიხედვით, სანარდო დანამატი და პრემია კი კოლექტიურ შედეგებში პირადი წვლილის მიხედვით.

სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის სწორად გამოყენება უზრუნველყოფს კოლექტივში ურთიერთდახმარებისა და ურთიერთმომთხოვნელობის ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან განვითარების თანამედროვე ეტაპზე მუშაკთა შეგნების ამაღლების, მათი მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების კვალობაზე, აგრეთვე სამუშაო ძალის დეფიციტის პირობებში შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით განხორციელებული ადმინისტრაციული სანქციები სულ უფრო ნაკლებ ეფექტიანია, თუ ეს სანქციები დამტკიცებული არ არის საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით, აღმზრდელობითი ღონისძიებებით.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებაში შეიმჩნევა ტიპური შეცდომები და ნაკლოვანებანი, რის გამოც იგი ვერ ასრულებს მთლიანად თავის დანიშნულებას და როლს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ბრიგადისათვის წინასწარ დადგენილი არ არის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის ამამაღლებელი და შემამცირებელი მაჩვენებლები და მათი სიდიდეები. თვის დამლევს ცალკეული მუშისათვის ეს კოეფიციენტი განისაზღვრება ორიენტაციით, მუშების ყოველდღიური შრომის შედეგების სათანადო აღრიცხვისა და შეფასების გაუთვალისწინებლად. ბრიგადირების გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზუსტად არ იცის, როგორ ნაწილდება ხელფასი მის ბრიგადაში. კითხვაზე, როგორ განსაზღვრავთ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს? უპასუხებენ — „ჩვენ მას განსაზღვრულს გვაძლევენ". სამწუხაროდ, წესად იქცა ის, რომ ბრიგადის წევრებისათვის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტებს ადგენენ საამქროს უფროსები, ოსტატები, ეკონომისტები, ბუღალტრები და სხვა. ამას იმით ამართლებენ, რომ ბრიგადირი და ბრიგადის საბჭოს წევრები არ არიან იმდენად მომზადებულნი, რომ ეს მათ შეასრულონ. ეს კი, დაკავშირებულია მუშის წვლილის არაობიექტურ შეფასებასთან, კონფლიქტურ სიტუაციებთან, ბრიგადის წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაუარესებასთან და, საერთოდ, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის დისკრედიტაციასთან.

რესპუბლიკის საწარმოთა დიდ ნაწილში, ისეთშიც კი, როგორიც არის „ელექტროაპარატის" საწარმოო გაერთიანება და სადაც საკმაოდ შეგნებულად, საქმის ცოდნით გამოიყენება შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი, დებულებით გათვალისწინებულია, რომ ცალკეულ მუშათა შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტების სიდიდეების ჯამი ბრიგადის წევრთა რაოდენობის ტოლი უნდა იყოს. ამ მოთხოვნის პრაქტიკულად შესრულება ართულებს კოეფიციენტის განსაზღვრის პროცესს.

თითოეულ საწარმოში ადმინისტრაციულმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანოებმა უნდა გააანალიზონ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის დადგენისა და გამოყენების პრაქტიკა, და ამის საფუძველზე უნდა დაისახონ მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისა და საერთოდ შრომის ბრიგადული ორგანიზაციის ეფექტიანობის განმტკიცებისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ მატერიალური და მორალური სტიმულირების ეფექტიანი სისტემა იმ ინჟინერტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეების წახალისებისათვის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ შრომის ბრიგადულ ორგანიზაციაში, მის გავრცელებაში და მისი მუშაობის ეფექტიანობის გადიდებაში. ასეთი სისტემის გამოუყენებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს შრომის ამ პროგრესული ფორმის განვითარებას.

საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელთა სწავლებისათვის საჭიროა შემოვიღოთ მუდმივმოქმედი სკოლები და კურსები, სემინარები შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების მოწინავე გამოცდილების გავრცელების მიზნით.

დ. ძნელაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ს. ვარდიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ლანჩხუთი: ექსპერიმენტი ყველას კუთვნილებაა

სიახლის ათასი ნახნავი

ლანჩხუთი გეოგრაფიული მდებარეობით კონტრასტების რაიონია. შავიზღვისპირა ნაჭაობარ ველ-მინდვრებში მზე რომ აცხუნებს, მთა-გორიან ზონაში უცებ მოიღრუბლება და ჭექა-ქუხილი არემარეს აყრუებს, ან პირიქით ხდება ხოლმე. მიუხედავად ამისა, იგი ლამაზი ბუნებითა და ღალიანობით არის ცნობილი. რა არ ხარობს ამ კურთხეულ მიწაზე — ციტრუსი, ჩაი, დაფნა, ხილი, ვაზი, ბაღჩეულ-ბოსტნეული. ერთი სიტყვით, ბუნების სილამაზეს მეტ პეწსა და ლაზათს მატებს ადამიანის გამრჯე ხელით შექმნილი დოვლათი. ოღონდ მშრომელს დაუფასე ნაღვაწ-ნამაგარი და იგი გარჯას არ დაიშურებს, დღედაღამ დაუცხრომლად იშრომებს.

— მიმდინარე ეტაპზე პარტიის რაიკომისა და აგროსამრეწველო გაერთიანების საქმიანობა ყველა ასპექტით დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასთან, — ითქვა შარშან აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ თათბირზე. — ეკონომიკური მუშაობის სრულყოფასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფაქტორთა გამოყენება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ეფექტიანობის მკვეთრ ზრდას.

დიახ, საჭიროა ძიება, ახალი რეზერვების ამოქმედება. ბევრი კარგი ინიციატივა იშვა (განსაკუთრებით 1982 წლიდან) ლანჩხუთის რაიონში და გაბედულად ინერგება კიდევაც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. კერძოდ, იგი ძირითადად შეეხო მეჩაიეობის შემდგომ განვითარებას და ჩაის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას. **წლეულსაც არის ახალი ექსპერიმენტი. ეს გახლავთ ჩაის ფოთლისა და მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ლანჩხუთის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების მონაწილეობა აგროსამრეწველო გაერთიანების ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდების შექმნაში.** მაგრამ ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით. ახლა კი იმას ვიტყვით, სიახლეებმა და ექსპერიმენტებმა დღემდე რა შედეგი მისცა რაიონის სახალხო მეურნეობას და მასში დასაქმებულ ადამიანებს.

1982 წლიდან დანერგილმა **„ჩაის მოსავლიანობის გადიდებისა და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების ექსპერიმენტმა"** საყოველთაო აღიარება და მოწონება დაიმსახურა. მის რეკომენდაციებში ერთმანეთთან ორგანულად არის შერწყმული ორგანიზაციული და ეკონომიკური დაინტერესების საკითხები. **ჩაის პლანტაციებში ტექნოლოგიური რუკებით გათვალისწინებული სამუშაოების დადგენილ ვადებში და კარგად შესრულებისათვის შემოიღეს ბალებით შეფასება, რომლის შედეგები საფუძვლად დაედო მატერიალურ დაინტერესებას. ამა თუ იმ მეჩაიის პლანტაცია თუ დაიმსახურებს ხარისხის ნიშანს, მას შრომის დამატებითი ანაზღაურება გაუდიდდება 30 პროცენტით.** რეკომენდაციებში შრომის დამატებით ანაზღაურებასთან ერთად მისი შემცირების განმსაზღვრელი ბალებია მოცემული. მაგალითად, პლანტაციების ზერელედ დამუშავების, სასუქების უხარისხოდ ან მცირე დოზებით შეტანის, ჩაის ფოთლის კრეფისას აკრძალული იარაღების (ჩაის სასხლავი აპარატი, ნამგალი და სხვა) გამოყენების, ღუებების გაუხეშების, ფოთლის გლეჯისას და სხვა ტექნოლოგიური პროცესების დარღვევების, აგრეთვე ახალგაზრდა პლანტაციების მოუვლელობის შემთხვევაში მეჩაიეს, მექანიზატორს, მერგოლურს, ბრიგადირს, მეჩაიე აგრონომს დამატებითი ანაზღაურება, პრემია და სხვა სახის წახალისებანი არ მიეცემა.

ვინ უწევს კონტროლს ყოველივე ამას?

რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა ხარისხის მართვის რაიონული კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი თ. კუნჭულია. ამის შესაბამისად საზოგადოებრივ მეურნეობებში შექმნილია კომპეტენტური კომისიები. მკაცრი კონტროლი დაუწესდა რეკომენდაციებში ჩამოყალიბებულ თითოეულ მუხლს, შრომის საფასურს, და როცა კოლმეურნე, მუშა, ბრიგადირი თუ აგრონომი ხედავს, რომ მისი გარჯა ასე დიდად არის შეფასებული, იგი მუყაითად შრომობს და ანაზღაურებასაც გვარიანს იღებს.

რეკომენდაციების მოქმედების განვლილი სამი წლის მანძილზე მკვეთრი გარდატეხა მოხდა ჩაის პლანტაციების დამუშავების, ნედლეულის დამზადების მატების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და მატერიალური დაინტერესების სწორად, ობიექტურად დადგენის საქმეში. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებამ 1981 წელს მოკრეფილი 26.334 ტონიდან 1984 წელს 30.656 ტონამდე მოიმატა. ამავე პერიოდისათვის 2,5 პროცენტით გაუმჯობესდა ნედლეულის ხარისხი, ხოლო მოსავლიანობამ ჰექტარზე 103 ცენტნერიდან 124 ცენტნერამდე იმატა.

ყოველწლიურად ხდება ხარისხის ნიშნის მინიჭება კარგად მოვლილი, უხვმოსავლიანი ჩაის პლანტაციებისათვის. 1982 წელს იგი მიენიჭა 200 ჰექტარ პლანტაციას, 1983 წელს — 360 ჰექტარს, 1984 წელს — 184 ჰექტარს. **წინა წლებზე რომ არაფერი ვთქვათ, შარშანდელი შედეგებით 484 მეჩაიის ნახელავს მიენიჭა ხარისხის ნიშანი, ხოლო 92 მეჩაიეს — მეჩაიე-ოსტატის წოდება. ამავე წელს 30 პროცენტით გაუდიდდა პრემია 484 მეჩაიეს, შეუმცირდა პრემია 1.871-ს და არ მიეცა პრემია 2.542 მეჩაიეს. შარშან მეჩაიეებთან ერთად, რეკომენდაციის საფუძველზე, პრემიები გაუდიდდათ ან შეუმცირდათ საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკებსაც.**

განვლილი სამი წლის პრაქტიკამ დაადასტურა ექსპერიმენტის ეფექტიანობა, როგორც შრომის ორგანიზაციის განმტკიცების, ასევე სამეურნეო და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჩაი ყველგან როდი ხარობს, მის ფესვებს თუ მიწისქვეშა წყალი შეუდგა, იგი თანდათან კნინდება. სხვა მიზეზებიც არის, როცა პლანტაციებში მოსავალი მცირდება და დახარჯული შრომა ვერ ანაზღაურდება. ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 40-50 პროცენტით მეჩხერი და ნაკლებმოსავლიანი უპერსპექტივო 120 ჰექტარი პლანტაცია სათანადო დასკვნითა და აქტით უნდა ამოეძირკვათ. მაგრამ ამოძირკვამდე მეურნეობაში შეიქმნა სპეციალური „კოოპერატივი". ეს იყო 1983 წელს. „სპეცკოოპერატივში" 21 მუშა გაერთიანდა, რომლებმაც ამოსაძირკვი პლანტაციებიდან 6 ჰექტარი ამოარჩიეს, დასამუშავებლად ჩაიბარეს, აგროტექნიკური ღონისძიებები სანიმუშოდ განახორციელეს და პლანტაციებმაც მზრუნველები გაახარეს. 24.570 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 620 კილოგრამი უხეში ფოთოლი დაამზადეს განახლებული პლანტაციებიდან. რეალიზაციის შედეგად 19.957 მანეთი მიიღეს. ამ თანხიდან მეურნეობამ კოოპერატივის წევრებს შრომის საზღაურად 13.970 მანეთი გაუნაწილა. მეურნეობას კი 5.987 მანეთი წმინდა მოგება დარჩა. ისიც აღსანიშნავია, რომ „კოოპერატივის" წევრებმა მეურნეობის მიერ გაწეული მომსახურებისათვის, კერძოდ მინერალური სასუქების მიწოდებისათვის, მისი ღირებულება — 240 მანეთი გადაიხადეს.

შარშან „სპეცკოოპერატივში" 27 მუშა იყო. მასში გაერთიანდნენ აგრეთვე მეზობელი სარაიონთაშორისო საწარმოო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები. „კოოპერატივის" წევრებმა ჩამოწერილ, ე. ი. ამოსაძირკვ 11 ჰექტარ პლანტაციას აგროწესების ზუსტად დაცვით მოუარეს და 60.996 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ნედლეულის რეალიზაციით მიღებულია 51.072 მანეთი, ამ თანხიდან „კოოპერატივის" წევრებს შრომის საზღაურად 35.752 მანეთი მისცეს, მეურნეობას კი 15.322 მანეთი დარჩა. „სპეცკოოპერატივის" წევრებმა მეურნეობას გადაუხადეს სასუქების ღირებულება 440 მანეთი.

ზემოთ კონტრასტებზე შემთხვევით როდი ჩამოვაგდეთ სიტყვა. ლანჩხუთის რაიონული ცენტრიდან სოფელ გვიმბალაურამდე დიდი გზა არ არის, სულ ხუთი კილომეტრია, მაგრამ ძალზე ციცაბოა. ორაგვეს უბანში ახლა 26 კომლი დარჩა. დანარჩენებმა ბარს მიაშურა. შარშან რაიონის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა დებულება და ხელშეკრულების პირობები ორაგვეში ჩაისა და მეციტრუსეობის ოჯახური იჯარის ჩამოსაყალიბებლად. მისი მიზანია ამ მთიან სოფელში მიგრაციის შეწყვეტა, ახალგაზრდობის მიზიდვა და ვარგისი უნიკალური ფართობების ათვისება. შარშან შემოდგომაზე ფართობებამდე 3 კილომეტრზე გაიყვანეს გზა, წლეულს 2 ჰექტრამდე ნიადაგი დამუშავდება ჩაისა და ციტრუსების გასაშენებლად.

საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცეს დროებითი დებულება ჩაის ფოთლისა და ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩაის მრეწველობის ლანჩხუთის საწარმოო გაერთიანების მიერ აგროსამრეწველო გაერთიანების ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებულ ფონდების შექმნაში მონაწილეობის ექსპერიმენტის შესახებ.

ექსპერიმენტის მიზანია გააძლიეროს პარტნიორთა დაინტერესება ნაწი ფრაქციების გასადიდებლად მოკრეფილი ჩაის ფოთლის საერთო რაოდენობაში, უმაღლესი და პირველი ხარისხის მზა პროდუქციის გამოსაშვებად და მთელი პროდუქციის სარეალიზაციოდ. ზენორმატიული მოგების თანხიდან, რომელიც მიღებული იქნება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების და ლანჩხუთის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ერთიანი მონდომებით, 20 პროცენტი გადაირიცხება ბიუჯეტში, დანარჩენი კი თანაბრად განაწილდება ლანჩხუთის აგროსამრეწველო გაერთიანებასა და ლანჩხუთის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებას შორის.

ლანჩხუთის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების კუთვნილი ზენორმატიული მოგების თანხა გამოიყენება გაერთიანების და ჩაის ფაბრიკების მუშაკთა წასახალისებლად და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება კუთვნილი ზენორმატიული მოგების 50 პროცენტს ზენორმატიული ფონდების შესავსებად იყენებს, 50 პროცენტს კი კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური სტიმულირების ფონდების შესავსებად, ნედლეულის მწარმოებლების მატერიალური დაინტერესების გასადიდებლად.

თამაზ კუნჭულია, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი:

— 1982 წლიდან მეჩაიეობაში წარმატებით ხორციელდება ჩაის ხარისხის მართვის ექსპერიმენტი. იგი ითვალისწინებს ჩაის პლანტაციების დამუშავების და ნედლეულის კრეფის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს ტექნოლოგიურ პროცესებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას იძლევა მკაცრი კონტროლი დაწესდეს სამუშაოთა შესრულებაზე პერიოდების მიხედვით. ამის შედეგად რადიკალურად გაუმჯობესდა პლანტაციების მოვლის წესები, იმატა მოსავლიანობამ და გაუმჯობესდა ნედლეულის ხარისხი. გაიზარდა მეჩაიეთა დაინტერესება, აღიკვეთა დაუმსახურებელ წამახალისებელ ღონისძიებათა გაცემის შემთხვევები. ამით, ამ ღონისძიებზე დანახარჯები წლიურად საშუალოდ 400-600 ათასი მანეთით შემცირდა.

ახალი ექსპერიმენტი — ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებისა და აგროსამრეწველო გაერთიანების პარტნიორობა, ზენორმატიული მოგების თანაბარი განაწილება ორივე გაერთიანებისათვის სახარგებლოა. ამით მეჩაიეებისა და ჩაის საწარმოთა მშრომელები მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ ნედლეულის დამზადების გასადიდებლად, მისი ხარისხის ასამაღლებლად და გადამუშავების ტექნოლოგიის ზუსტად დასაცავად. ეს არა მარტო მათ მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს, არამედ სურნელოვანი ქართული ჩაის მომხმარებლისათვის მიწოდების გარანტიაც არის; საერთოდ კი ეს ყველაფერი რესპუბლიკის მეჩაიეთა სახელის აღდგენას ემსახურება.

თუ როგორ გავართმევთ ამ ახალ ექსპერიმენტს თავს, ეს თითოეული მუშის, მეჩაიის, სპეციალისტის პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. წლეულს სახელოვანმა მეჩაიეებმა იკისრეს სამშობლოს მიჰყიდონ 30 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. კრეფა წარმატებით მიმდინარეობს. ამ სუსხიან ზამთარში პლანტაციებს, ჩაის თითოეულ ბუჩქს მზრუნველი ხელი არ მოჰკლებია, და თუმცა ჩაის ფოთოლი საკრეფად დაგვიანებით შემოვიდა, სამაგიეროდ უხვადაა. როცა ხარისხის დაცვის დისციპლინის განმტკიცებაზე მიდგა საქმე, აქ დამრღვევს არაფერს ვაპატიებთ. ჩვენ უხარისხო ნედლეულისათვის აცეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ღლონტი და ლანჩხუთის სათაო ჩაის ფაბრიკის წარმოების უფროსი ნ. ფირცხალაიშვილი გავათავისუფლეთ სამუშაოდან.

საუბრის დასასრულს თ. კუნჭულიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს (თავმჯდომარე ალექსი დარჩია) და მასში შემავალი ყველა რგოლის ერთსულოვან დარაზმულობას იმ ამოცანების უთუო გადაჭრისათვის, რომლებიც დასახული აქვთ რაიონის მშრომელებს ჩაის მოსავლის შემდგომი გადიდებისა და ნედლეულის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

პირველი შედეგები, მომავლის პერსპექტივები, მატერიალური წახალისების დამატებითი ღონისძიებანი, უდავოდ, სასიხარულოა. და თუ კარგი დასაწყისი, როგორც ხალხი ამბობს, საქმის ნახევარს ნიშნავს, ლანჩხუთელებს მნიშვნელოვანი ნაბიჯი აქვთ გადადგმული წინ. ახლა მთავარია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რაც უზრუნველყოფს არა მარტო მიმდინარე წლის, არამედ ხუთწლედის ვალდებულებების უთუო შესრულებას, რაიონის მშრომელები ღირსეულად, ხელდამშვენებულნი შეხვდებიან სკკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

ბ. ნოდია,
ზ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ფიქრები აღზრდაზე

ტკივილი დაცვითი რეაქციაა...

ტკივილი დაცვითი რეაქციაა... წუთით მომეჩვენა, რომ აკადემიკოსმა ალექსი ზურაბაშვილმა ეს სიტყვები მოულოდნელად და მისი ბუნებისთვის უჩვეულო სიმკაცრით თქვა.

ამას ანაზდეული სიჩუმე მოჰყვა. თითქოს გამომცდელად დუმდა...

თვალებში ძველებურად ედგა სიკეთის შუქი. არა, რა თქმა უნდა, იგი სულაც არ უგებდა წინანს ვინმეს. ეს იყო მხოლოდ მკაცრ სიმართლეს შეგვახსენებდა სწორედ ისე, როგორც თავის დროზე და ახლაც ეტყვიან ხოლმე შვილებს სიმართლის მრავლისმნახველი ჭაღარა მამები, რაგინდ მწარედ უჩანდეთ იგი.

ჩვენ ვსაუბრობდით ოჯახზე, დედაშვილობაზე, მომავალზე.

ამ ამბით დაიწყო:

— ყველა სამოცი წელია ვმკურნალობ. როგორც ხალხი იტყვის, ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ სხვა რაღა არ მინახავს და განმიცდია. და აი, ამ ხნის კაცი სულით ხორცამდე შემძრა ამბავმა, რომელიც ახლახან შევიტყვე. იგი გადმომცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალმა, პროფესიით პედაგოგმა. ჩემთან სამსახურში მოსული მანდილოსანი ცხარე ცრემლით ტიროდა და შველას მევედრებოდა.

არ მინდა, სიტყვა გავაგრძელო. მოკლედ მოგახსენებთ, რაც მომხდარა. მის შვილს, სრულიად ახალგაზრდა კაცს, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს, აკყრია კარგი ოჯახსა და დედ-მამაზე, მიუტოვებია ისინი და სხვაგან, ერთოთახიან დაქი[illegible]

[illegible]ცის, რას შეიძლება განაცდევინებდეს ადამიანს გაჭირვება, ხელმოკლეობა, სურვილის შეუსრულებლობა. ამგვარ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ყოფაში პროდუქტიც შესაფერი გამოვიდა. მთავარი უბედურება ის არის, რომ ახალგაზრდა კაცს არ შეუძლია განიცადოს სიამოვნება იმაზე ფიქრით, რაც მომავალში მოელის; ყველაფერი აქვს, ყველაფერი იგემა და ისიამოვნა, ამის მერე, ამის მეტი რაღა უნდა იყოს! მისთვის ხვალინდელი დღის გზა დაკეტილია და, ვიმეორებ, ეს მოხდა უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე მან [illegible] დაკარგა შრომის პატივისცემის გრძნობა, [illegible] — არც არასოდეს ჰქონია იგი.

აქ, კონკრეტულ შემთხვევაში, მოხდა ის, რასაც კაცი მტერსაც არ უსურვებს: ვერც დიდმა განათლებულმა ქალმა, პედაგოგმა, ვერც მამამ, საკმაოდ სახელმოხვეჭილმა ინჟინერმა, ვერ მოიცალეს [illegible] — იმ ნერგზე, შვილის აღზრდა რომ ჰქვია, ემყნოთ მოყვასისა და შრომის სიყვარული. ისინი მხოლოდ ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე ფიქრს გადაყვნენ, [illegible] ხელგაშლილად უწყობდნენ შვილს ხელს თვით ყველაზე ახირებული სურვილის შესრულებაში. გარეგნულად ამ ოჯახს არაფერი აკლდა, პირიქით, ბევრი შინატრიდა კიდეც, არადა, ყველაზე ძირითადი გამოეცალათ ხელიდან, სამწუხაროდ, ასეთ ოჯახებში აღზრდილმა ბავშვებმა თავიდანვე არ იციან, რა არის დედის [illegible] ალერსი და მამის ავტორიტეტული სიტყვა და ზრუნვა, [illegible] ხოლმე ყველაფერს.

განა ბევრი ჩვენგანი გულწრფელად არ გაკვირვებულა, როცა სმენია, რომ, ვთქვათ, ამა და ამ ცნობილ მეცნიერს, მის განათლებულ მეუღლეს, ყოველმხრივ [illegible]

[illegible]ცოს, შვილის გაზრდა ძნელია, მე ერთი მწამს [illegible] — ბევრი შვილი პირველ ყოვლისა, ბევრი სიხარულია. მართალს ამბობს ჩვენი ხალხი: ერთი შვილი არაშვილი, ორი შვილი — ცოტა შვილი, სამი შვილი — ვითომ შვილი, ოთხი შვილი — დასტური შვილიო.

— თქვენ სიტყვა ჩამოაგდეთ დედის როლზე, მის ზნეობრივ სისპეტაკეზე. სწორედ ამან გამახსენა ჩვენი გაზეთის რედაქციაში გამოგზავნილი ბარათი. მისი ავტორი [illegible] თბილისელი [illegible].

ეს სტრიქონები, ერთი შეხედვით მეტად გულუბრყვილოა ავტორის ასაკის შესაფერისად, მაგრამ დაფიქრებად კი ღირს.

ნება მომეცით, სიტყვასიტყვით წაგიკითხოთ იგი:

„...სახელსა და გვარს დედის შიშით ვერ გიმხელთ... ისიც რედაქციის მუშაკია და სიგარეტს ეწევა. ზაფხულში, ბებიასთან რომ ვარ სოფელში, არც ერთი მეზობელი ქალი არ სწევს; ვკითხე, რისთვის წერთ გაზეთებში — თამბაქო მავნეაო. დამტუქსა — ენატლიკინა ხარო.

თქვენ მაინც მიპასუხეთ...“

— სამწუხარო ფაქტია. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ბავშვის თვალში დიდად ეცემა დედის მშობლის სიტყვისა და შეგონების [illegible].

თავისთავად ჩვენი ქალების ერთი ნაწილის გატაცება სიგარეტის წევით ჩემთვის მეტად იოლი ასახსნელია სნობიზმის მაინც გავლენით, ყოველივე უცხოურისადმი ბრმა მიმბაძველობით, რაც, რა თქმა უნდა, არ შეშვენის დიდი და სპეტაკი ტრადიციების მქონე ჩვენი ერის ქალს. გამონაკლისზე არას მოგახსენებთ, ისე იგი, იმაზე რაც მხოლოდ სნობიზმით არ აიხსნება.

ისე კი მინდა ვთქვა, რომ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ახლა დიდი ბრძოლაა გაჩაღებული, რათა სკოლაში სიგარეტს არც ერთი მასწავლებელი არ ეწიოდეს.

თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც, როცა მოწევა გავრცელდით, სიგარეტის მოწევის თავიდან [illegible] იმას ნიშნავდა, რომ სიგარეტის მწეველი საბოლოოდ დაემშვიდობებოდა სასწავლებელს.

რით აიხსნება ამგვარი სიმკაცრე?

იმით, რომ თამბაქო მეტად მავნეა ადამიანის ორგანიზმისათვის?

არა, ასე რომ იყოს, მაშინ თამბაქო არც ისე საშიში იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, სადაც თამბაქოს ეწევა ახალგაზრდობა, იქ დისციპლინა ფარხმალთა, იქ უმცროსს უფროსისა არ ერიდება, ხოლო ამას, თუ გინდ, მოსდევს მორალის დაქვეითება, ზნეობის ჰქონბა.

[illegible]

საფრანგეთის პარლამენტართა დელეგაცია გამგზავრა

[illegible]

უცხოეთში

ფაქტები
მოვლენები

10 ივლისი ■ საქდესი იუწყება

ეკონომიკური დეკოლონიზაციისათვის

ჟენევა. „კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის“ მიღების 25 წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტური ქვეყნების დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს აქ მიმდინარე მეორე მორიგ სესიაზე ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ყველა ფორმისა და სახეობის კოლონიალიზმის მოსპობა კვლავაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც საერთაშორისო გაერთიანების წინაშე დგას. მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ განმტკიცდება მშვიდობა და უზრუნველყოფილი იქნება საერთაშორისო უშიშროება, აღმოიფხვრება ბირთვული ომის საფრთხე, შეწყდება გამალებული შეიარაღება და მიღწეულ იქნება რეალური განიარაღება, შეიქმნება ნდობის ატმოს-

საერთაშორისო გაერთიანების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა

ფერო საერთაშორისო ურთიერთობაში, განვითარდება თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობა. დიდად სიმბოლურია, ნათქვამია განცხადებაში, რომ დეკლარაციის 25 წლისთავი აღინიშნება მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის 40 წლისთავის წელს.

სოციალისტური ქვეყნები მხარს უჭერენ განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებს იმის თაობაზე, რომ გავრცელდეს კოლონიალიზმის მოსპობის პროცესი ეკონომიკის სფეროზე, გარდაიქმნას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა სამართლიან, დემოკრატიულ საფუძველზე და დამყარდეს ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესი. მაგრამ ეკონომიკური დეკოლონიზაციის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის პროცესს აბრკოლებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები.

რომელიც თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ძირის გამოთხრის და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში ძალდატანების კურსს დაადგა.

„განვითარებადი ქვეყნების თანამედროვე უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იმის პირდაპირი შედეგია, რომ ამ ქვეყნების ხალხების კისერზე გადადის მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის კრიზისის სიმძიმე“, — აღნიშნავენ განცხადების ავტორები. იმპერიალისტური წრეები, რომლებსაც არ სურთ თავიანთი პრივილეგიური პოზიციების დათმობა მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში, ცდილობენ არა მარტო შეინარჩუნონ, არამედ გააფართოონ კიდეც განვითარებადი ქვეყნების ექსპლოატაცია, აძლიერებენ ზეწოლას მათზე, რათა უარი ათქმევინონ პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებაზე.

დასასრულ განცხადების ავტორები ხაზს უსვამენ, რომ სოციალისტური ქვეყნები კვლავაც ყოველმხრივ დაეხმარებიან და დაუჭერენ მხარს განვითარებადი ქვეყნების ხალხებს თვითგამორკვევისათვის, დამოუკიდებლობისა და ეროვნული პროგრესისათვის ბრძოლაში.

პაკისტან-ჩინეთი

ჩინელი მინისტრის ვიზიტი

დელი. აქ მიღებული ცნობებით, კარაჩიში დამთავრდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ჟან აიპინის ოფიციალური ვიზიტი. მას მოლაპარაკება ჰქონდა პაკისტანის პრეზიდენტთან ზია-ულ-ჰაკთან, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებთან. აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკების დროს შეეხნენ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ აზიის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას ამ რაიონში და მისი განვითარების ტენდენციებს. მხარეებმა, როგორც იუწყებიან, განიხილეს პაკისტანისათვის საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდებასთან დაკავშირებული მთელი რიგი სამხედრო საკითხები, პაკისტანის მხარე დაინტერესდა ჩინეთის ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და თვითმფრინავების შეძენით. სამხედრო მიწოდებებთან ერთად განიხილეს აგრეთვე იმ კონტრრევოლუციური ბანდების იარაღით შემდგომი მომარაგების საკითხი, რომლებიც პაკისტანის ტერიტორიიდან ყაჩაღურად თავს ესხმიან ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

„ამერიკის ხმის“ მორიგი აქცია

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაცია აფართოებს ფსიქოლოგიურ დივერსიათა მასშტაბს მსოფლიოში. ძირგამომთხრელი რადიოსადგურის „ამერიკის ხმის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ამა წლის შემოდგომიდან დაიწყება პირდაპირი მაუწყებლობა დასავლეთ ევროპისათვის.

„ამერიკის ხმა“, რომელიც ანტისაბჭოური ცილისწამებისა და დეზინფორმაციის ღვარძლიანი რადიორუპორია, გადაცემებს აწყობს მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში 42 ენაზე კვირაში ათასზე მეტი საათის რაოდენობით. მაგრამ პირდაპირი გადაცემები შეერთებული შტატების მოკავშირეებისათვის დასავლეთ ევროპაში მეწყდა ჯერ კიდევ 1955 წელს „საბიუჯეტო მოსაზრებით“. ახლა რეიგანის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ კვლავ საჭიროა კონტინენტზე მოკავშირეთა იდეოლოგიური „რადიოდამუშავება“ და რაც შეიძლება საფუძვლიანადაც.

„ამერიკის ხმის“ ხელმძღვანელობა მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ჩივის, რომ დასავლეთ ევროპის საზოგადოებრიობას ამჟამად „კარგად არ ესმის“ შეერთებული შტატების პოლიტიკა. განსაკუთრებით აშფოთებთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალგაზრდა თაობის განწყობილება, რომელიც სულ უფრო აშკარად იმაღლებს ხმას მსოფლიო ასპარეზზე ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარიზმისა და ჰეგემონიზმის წინააღმდეგ. ფართოდ არის ცნობილი დასავლეთ ევროპის ახალგაზრდობის ოპოზიცია კონტინენტზე პირველი დარტყმის ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგების, აგრეთვე გამალებული შეიარაღების კოსმოსში გადატანის ვაშინგტონისეული გეგმების მიმართ.

რეიგანის ადმინისტრაცია ამ ოპოზიციის „ნეიტრალიზებას“ თავისი „მშვიდობისმოყვარეობის“ და სსრ კავშირის „აგრესიულობის“ შესახებ მონაჩმახის გავრცელების გზით აპირებს. ვაშინგტონის იდეოლოგიურმა დივერსანტებმა „ამერიკის ხმას“ კიდევ ერთხელ მიმართეს როგორც მტრობისა და კონფრონტაციის გამწვავების საშუალებას.

„საერთო ბაზარი“:

იზრდება უთანხმოება

ბრიუსელი. „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებსა და მის ხელმძღვანელ ორგანოებს შორის კიდევ უფრო გაამწვავებს წინააღმდეგობებს ეკონომიკური და ფინანსთა მინისტრების დონეზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს აქ გამართული ერთი დღის სესიის გადაწყვეტილებანი.

დაძაბული დისკუსიების შემდეგ მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაჯგუფებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხზე. მათ დააწესეს 1986 წლის საბიუჯეტო ხარჯების ჭერი 29,7 მილიარდი ევროპული სავალუტო ერთეულის ოდენობით, რაც გაცილებით ნაკლებია იმ თანხაზე, რომელიც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების აღმასრულებელმა ორგანომ — ევროპის გაერთიანების კომისიამ შესთავაზა. ამასთან, ხარჯების შემცირება ძირითადად შეეხება ისეთ სოციალურ პროგრამებს, როგორიც არის ჩამორჩენილი რაიონებისათვის დახმარება, ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ, ასიგნებანი განვითარებადი ქვეყნების დახმარების ფონდში და ა. შ. საბერძნეთმა და ირლანდიამ გაილაშქრეს ამ შემცირების წინააღმდეგ, რადგან იგი სერიოზულ გავლენას მოახდენს მათი ეკონომიკის მდგომარეობაზე. ბიუჯეტის გასავალი ნაწილის „ჭერის“ დაწესება აიხსნება დაჯგუფებაში „ფინანსური დისციპლინის“ განმტკიცების მოსაზრებით, რომელსაც უკვე ამ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არ ჰყოფნის სახსრები. ეს პრობლემა, როგორც მიაჩნიათ, კიდევ უფრო გაღრმავდება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ესპანეთისა და პორტუგალიის შესვლის შემდეგ.

ახლა საბიუჯეტო პრობლემა განსახილველად გადაეცემა ევროპის პარლამენტს, რომელსაც ხშირად კონფლიქტი ჰქონდა ამ რთულ საკითხზე ევროპის გაერთიანებების მინისტრთა საბჭოსთან და კომისიასთან.

სესიაზე აგრეთვე გაანალიზეს „საერთო ბაზრის“ ახლანდელი ეკონომიკური მდგომარეობა. ევროპის გაერთიანებების კომისიამ მოამზადა მოხსენება, რომელშიც აღიარებულია, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში კვლავინდებურად შენელებული იქნება, უმუშევრობა კი კვლავ გაიზრდება.

კომისიის ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების დავალიანების შემდგომ ზრდასაც.

პორტუგალია

კომუნისტთა მოთხოვნა

ლისაბონი. პორტუგალიის კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფმა მოითხოვა გადადოს „საერთო ბაზარში“ პორტუგალიის შესვლის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის გამო საპარლამენტო კამათი, რომელიც ამ კვირისათვის არის გათვალისწინებული.

რეზოლუციაში, რომელიც გადაეცა რესპუბლიკის კრების პრეზიდიუმს, აღნიშნულია, რომ პარლამენტის ახლანდელ შემადგენლობას, რომლის დათხოვნა უკვე გამოაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა, არა აქვს მორალური და იურიდიული უფლება განიხილოს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის პორტუგალიის შესვლა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში. მხოლოდ ვადამდელი საყოველთაო არჩევნების შემდეგ, როცა ხალხი ნდობას გამოუცხადებს ამა თუ იმ პარტიას, რესპუბლიკის კრების მომავალ შემადგენლობას უფლება ექნება მიიღოს ასეთი გადაწყვეტილებანი, ხაზგასმით არის აღნიშნული რეზოლუციაში.

პორტუგალიის კომპარტიის პარლამენტარებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ახლანდელმა მთავრობამ ყველაფერი იღონა, რათა ქვეყნის საზოგადოებრიობისათვის დაემალა ხელშეკრულების შინაარსი და დუმილით აეარა გვერდი იმ მძიმე შედეგებისათვის, რომლებსაც იგი მოუტანს პორტუგალიელებს.

კაბინეტის ცდები — მიაღწიოს ხელშეკრულების რატიფიკაციას ისე, რომ პარლამენტმა ყოველმხრივ არ განიხილოს იგი, დაგმო პორტუგალიის დემოკრატიული მოძრაობის პარტიის პოლიტიკურმა კომისიამ. მან აღნიშნა, რომ ის ვადა, რომელიც დეპუტატთა განკარგულებაშია, საშუალებას არ აძლევს მათ ჯეროვნად შეისწავლონ ეს დოკუმენტი.

მოკლედ

უქანასკნელ ხაქთს

● დამასკო. ისრაელის რაიონების უმრავლესობას შეუწყვეტეს ელექტრონა და სატელეფონო კავშირი. პროფკავშირების მოწოდებით ელექტრო-კომპანიებისა და სატელეფონო ქსელის მოსამსახურეები არ გავიდნენ სამუშაოზე. მათმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაფიცვა მანამდე გაგრძელდება, სანამ ხელისუფლებანი უარს არ იტყვიან ახლახან მიღებული ეკონომიკის „გაჯანსაღების“ ანტიხალხურ გეგმაზე.

● მანაგუა. სანდინისტური სახალხო არმია კვლავ ანადგურებს გადარჩენილ სომოსელთა დაქირავებულ ბანდებს, რომლებიც შემოიჭრნენ ნიკარაგუის ტერიტორიაზე მეზობელი ქვეყნებიდან. როგორც რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, ნიკარაგუის ჯარებმა მოსპეს საიდუმლო სამხედრო ბაზა, რომელიც შექმნეს ამერიკელმა დაქირავებულებმა კოსტა-რიკის საზღვართან მდებარე რიო-სან-ხუანის დეპარტამენტში.

● ბანგკოკი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა შულცმა, რომელიც ტაილანდის დედაქალაქში იმყოფება აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის მთელ რიგ ქვეყნებში ორი კვირის ვოიაჟის პროგრამის შესაბამისად, პროვოკაციული მოგზაურობა მოაწყო კამპუჩიის საზღვრის გასწვრივ. ამერიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაური ეწვია იქ განლაგებულ ტაილანდის შეიარაღებულ ძალებს, შეჩერდა ანტიკამპუჩიური კონტრრევოლუციის ერთ-ერთ ბაზაზე.

ფოტოფაქტი

იაპონია

ლესავენ სამურაის მახვილს

იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს ქვეყნის სამხედრო პოტენციალის გაძლიერების დაჩქარებას წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში საზღვაო კომუნიკაციებისადმი „კონტროლის დაწესების“ მიზნით.

ვაშინგტონი დაჟინებით მოითხოვს იაპონიის ფლოტისა და ავიაციის ძლიერების ზრდას, მათს მომზადებას საბრძოლო მოქმედებისათვის ვრცელ რაიონში თითქმის ფილიპინებამდე. შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს არა მარტო ის, რომ „უშიშროების ხელშეკრულებით“ თავისი მოკავშირე მაგრად შეაბას პენტაგონის მილიტარისტულ ეტლში, არამედ იაპონიის შეიარაღებულ ძალებს დააკისროს ამერიკის ჯარების ჟანდარმული ფუნქციები იმ ვარაუდით, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს თავისი დამრტყმელი ძალების ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან გადაიყვანოს მსოფლიოს სხვა რაიონებში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთში.

იაპონიის პროგრესული საზოგადოებრიობა სერიოზულ წუხილსა და შეშფოთებას გამოთქვამს ქვეყნის მილიტარიზაციის, თეთრი სახლის აგრესიული საგარეო-პოლიტიკური კურსის ორბიტაში მისი მოქცევის გამო. ქვეყნის მრავალრიცხოვან ქალაქებში არ წყდება მასობრივი მანიფესტაციები, რომელთა მონაწილეები მთავრობისაგან მოითხოვენ სამხედრო ხარჯების შემცირებას და გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, სოციალური საჭიროებისათვის ასიგნებათა გაზრდას, ამერიკის შეერთებულ შტატებთან „უშიშროების ხელშეკრულების“ გაუქმებას, რომელიც სულ უფრო აგრესიულ ხასიათს იძენს.

სურათებზე: იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლები ერთ-ერთ ავიაბაზაში; ტოკიოში გამართული მასობრივი მანიფესტაციის მონაწილენი.

საქდესის ფოტო.

რას ჩვენებს გამოკითხვის შედეგები

ტოკიო. იაპონელთა დიდი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ოფიციალური ტოკიო არ იცავს ქვეყანაში ბირთვული იარაღის შემოტანის ფორმალურად მოქმედ აკრძალვას. ამას მოწმობს გამოკითხვის შედეგები, რომელიც გაზეთმა „ტოკიო სიმბუნმა“ მოაწყო.

გამოკითხვის მონაწილეთა 70-ზე მეტმა პროცენტმა მოითხოვა მკაცრად დაიცვან იაპონიის სამი არაბირთვული პრინციპი — არ იქონიონ, არ აწარმოონ და არ შემოიტანონ ბირთვული იარაღი. გამოკითხვამ ცხადყო, წერს „ტოკიო სიმბუნი“, რომ ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა გმობს ნაკასონეს მთავრობის პოზიციას, რომელმაც გადაწყვიტა გამოუშვას ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები, სადაც ნახსენები არ იქნება ამერიკის მიერ ჰიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვა.

რასიზმი უნიღბოდ

სისხლიანი რბევა

ჰარარე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან მიღებული ცნობით, კიდევ შვიდი აფრიკელი მოკლეს პრეტორიის რეჟიმის პოლიციის მიერ სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეთა სისხლიანი რბევის დროს, რომელიც მოაწყვეს იოჰანესბურგის მახლობლად მდებარე აფრიკულ რეზერვაციაში. დამსჯელებმა ცეცხლი დაუშინეს აფრიკელებს, რომლებიც პოლიციასა და აპარტეიდის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა შორის ამასწინანდელი სისხლისმღვრელი შეტაკების მსხვერპლთა დაკრძალვაზე შეიკრიბნენ. დაკრძალვის ათობით მონაწილე დააპატიმრეს.

ბუნება და სტიქია

ინფის ტყეები

ოტავა. ტყის ხანძრების 500-ზე მეტი კერა აღირიცხა ამჟამად კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში. ბევრმა მათგანმა, ადგილობრივ ხელისუფალთა ცნობით, სწრაფად მოიცვა ვრცელი რაიონები ხანგრძლივი გვალვის გამო. ცეცხლის სტიქიასთან საბრძოლველად გამოიყვანეს ათასობით მეხანძრე, რომლებიც ცდილობენ ხანძრის ლოკალიზებას. მაგრამ, ბოლო ცნობებით, იქმნება ცალკეული კერების მძლავრ ცეცხლის გრიგალად გაერთიანების საშიშროება. მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს სერიოზული საფრთხე შეექმნა. სტიქიური უბედურების შედეგად განადგურდა ასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ხანძრით მოცული რაიონებიდან გაჰყავთ მოსახლეობა.

დემოგრაფია

● ბრაზავილი. კონგოს სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობამ 1985 წლის 1 ივლისისათვის მილიონ 912 ათასს მიაღწია. ამას იუწყება ქვეყნის საინფორმაციო სააგენტო. კონგოს მოსახლეობა ყოველწლიურად 3,5 პროცენტით მატულობს. ქვეყნის ოთხ ქალაქში — ბრაზავილში, პუენტ-ნუარეში, ლუბომოსა და ნკაიში რესპუბლიკის მოსახლეობის 51 პროცენტი ცხოვრობს.

● მონროვია. ლიბერიის რესპუბლიკის მოსახლეობა ამჟამად 2 მილიონ 200 ათასს შეადგენს. ქვეყნის მოსახლეობა ყოველწლიურად 3,5 პროცენტით იზრდება.

პრესა ადასტურებს

რეიგანის ადმინისტრაცია ჩქარობს

ჟურნალ „დისენტის“ ფურცლებზე

ნიუ-იორკი. მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად რეიგანის ადმინისტრაცია აჩქარებს კოსმოსის სივრცის მილიტარიზაციის პროგრამის რეალიზაციას.

როგორც ჟურნალი „დისენტი“ იუწყება, ამჟამად პენტაგონის 20-ზე მეტი უდიდესი მოიჯარე კორპორაცია არა მარტო ამუშავებს პირველი დარტყმის კოსმოსური იარაღის სხვადასხვა სისტემას, არამედ სახავს კიდეც მისი უფრო ეფექტიანი გამოყენების სტრატეგიას. მათ შორის არიან სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ისეთი გიგანტები, როგორიცაა „როკუელ ინტერნეშნლი“, „ლოკჰიდი“, „ჯენერალ რისერჩი“. ლოს-ალამოსის ატომურ ლაბორატორიაში, ლივერმორის ერნესტ ლოურენსის სახელობის რადიაციის ლაბორატორიასა და ჩარლზ სტარკ დრეიპერის ლაბორატორიაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მიწისზედა და კოსმოსური ბაზირების კონოვანი, აგრეთვე ლაზერული იარაღის შექმნისათვის.

ჟურნალი აანალიზებს რეიგანის ყბადაღებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელების მიმდინარე სამუშაოთა მასშტაბს და აღნიშნავს, რომ კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემის შექმნისათვის მარტო ეგრეთ წოდებული „სამეცნიერო-კვლევითი“ სამუშაოები დაჯდება არა 26 მილიარდი დოლარი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ამტკიცებს, არამედ თითქმის 52 მილიარდი დოლარი. „კოსმოსური ომების“ მთელი პროგრამის ღირებულება კი ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს.

„დისენტი“ უგულებელყოფს თეთრი სახლის მტკიცებებს, თითქოს რეიგანის „ინიციატივა“ მხოლოდ „თავდაცვითი“ ხასიათისა იყოს. „კოსმოსური ომების“ პროგრამა, აღნიშნავს იგი, ეს არის პირველი ბირთვული დარტყმის პროგრამა, რადგან ამერიკის ბირთვული სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული იარაღის გამოყენება შეტევის მიზნით. „ამ სტრატეგიის საფუძვლად უდევს იმის რწმენა, რომ შესაძლებელია ბირთვული ომის წარმოება, მისი გაკონტროლება, ამ ომში გამარჯვება და გადარჩენა“.

„დისენტი“ გამოთქვამს აზრს, რომ კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნისათვის თეთრი სახლის გეგმების რეალიზაციას მოჰყვება გამალებული შეიარაღების ახალი უფრო საშიში რაუნდი, დამანგრეველი ბირთვული შეიარაღების კიდევ უფრო მეტი მარაგის დაგროვება.

თაოსანი და პირველმკვლევი

აკადემიკოს ლევან ჯაფარიძის დაბადების 80 წლისთავის გამო

დიდი და მრავალმხრივი ნიჭით, ენციკლოპედიური ცოდნით, უტყუარი მეცნიერული ალღოთი და ფანტაზიით, გამორჩეული შრომისუნარიანობით დაჯილდოებული ადამიანი, ურთიერთობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში უაღრესად უბრალო, თავმდაბალი, მიმზიდველი... — ასეთი დარჩა ჩვენს ხსოვნაში ლევან ჯაფარიძე. მან შექმნა და განავითარა ერთსულოვანი კოლექტივი, რომელიც მის მიერ შექმნილი მადლიანი ტრადიციებით ცხოვრობს დღესაც.

ლევან ჯაფარიძე ცნობილია როგორც მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მან გააფართოვა, გააღრმავა და განავითარა კვლევა-ძიების არაერთი მიმართულება, რომლებიც მეცნიერების ამ დარგში პირველი იყო ჩვენში, თანამედროვე დონეზე აიყვანა და ფართო სახელი მოუხვეჭა მათ.

ბიოლოგიის მეცნიერების საგანძურში დარჩა სახელოვანი სწავლულის დიდი წვლილი, მისი იშვიათი მეცნიერული ფანტაზიითა და ალღოთი განჭვრეტილი და დასაბუთებული მრავალფეროვანი თემატიკა, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალურობას.

ლევან ჯაფარიძე 1905 წელს დაიბადა თბილისში. საშუალო განათლება თელავში მიიღო, სადაც იმხანად მამამისი საექიმო პრაქტიკას ეწეოდა. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობისას ჯერ ბოტანიკური ბაღის მუშა იყო, მერე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრის პრეპარატორი და, იმავდროულად, ბოტანიკური ბაღის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის პრეპარატორი. 1930 წლიდან ამ ლაბორატორიის, შემდგომ — ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების უცვლელი გამგე გახლდათ. სხვადასხვა დროს ლ. ჯაფარიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სატყეო ინსტიტუტში, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში...

ძახ დიდი ღვაწლი დასდო საქმეს მაშინაც, როცა ჯერ ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი დირექტორად მუშაობდა.

ლ. ჯაფარიძე 120-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია. მან გამოსცა სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, პრაქტიკუმები, ცნობარი... ბევრ მათგანს დღესაც არ გასვლია ყაველი. ქართველი სწავლულის შრომები თარგმნილია ინგლისურ და ჩინურ ენებზე.

ლ. ჯაფარიძე მრავალი წლის მანძილზე მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, აგრეთვე ფოტოსინთეზის პრობლემების საქართველოს სსრ რეგიონალურ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობდა, იყო საკავშირო ჟურნალის „მცენარეთა ფიზიოლოგიისა“ და „საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების მოამბის“ სარედაქციო საბჭოების წევრი და სხვა. მისი მეცნიერული ღვაწლის თვალსაჩინო აღიარება იყო ის ფაქტიც, რომ აირჩიეს მერქნის ანატომთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად.

სწავლული აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო ყრილობების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, თათბირების მუშაობაში. მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესსა და მოწონებას იმსახურებდა. იგი საჯაროდ უკანასკნელად ქ. სიეტლში (აშშ), ბოტანიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე გამოვიდა. თავისი მოხსენება მეცნიერმა მიუძღვნა მდედრობითი და მამრობითი მცენარეების ფოთლის ფირფიტის გერონტოლოგიური კონტრაქტაციის საკითხს. ეს მასალა სწავლულის უაღრესად მნიშვნელოვანი და პოპულარული მონოგრაფიის — „სქესი მცენარეებში“ — მესამე ტომისათვის იყო გამიზნული.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პირველსავე წლებში, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, მეცნიერმა განახორციელა საინტერესო და მნიშვნელოვანი ანატომიური გამოკვლევა, რომელმაც თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანა მწიფე მერქნისა და მერქნის ცილის მექანიკური და ზოგიერთი ფიზიოლოგიური თვისების განსხვავების დადგენაში. ეს სამუშაო საფუძვლად დაედო საყოველთაოდ აღიარებულ სახელმძღვანელოებს „მერქნის დამზადება“ და „ლექსიკონი მერქნის ელემენტების აღწერისათვის“.

მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია თანამშრომლებთან და მოწაფეებთან ერთად შესრულებული გამოკვლევები: მცენარეთა ქსოვილების ანატომიური აგებულება, ვაზის ვეგეტაციური გამრავლება, მერქნიანი მცენარეების ტრანსპირაციის, სუნთქვის, ფოტოსინთეზისა და პლასტიდური სისტემის თავისებურებები, ვიტამინებისა და მთრიმლავი ნივთიერებების ნედლეულის გამოვლენა, საქართველოში ზამთრის ვეგეტაციის მქონე მცენარეების ფიზიოლოგია და ბიოქიმია, ალელოპათია, გამძლეობის ფიზიოლოგია და მაიონიზირებელი გამოსხივების გავლენა მცენარის მეტაბოლიზმზე.

1946 წლიდან ლ. ჯაფარიძე სათავეში ჩაუდგა ვაზის ქლოროზის შესწავლას. მრავალწლიანი კომპლექსური გამოკვლევების შედეგად შემუშავდა მეტად საყურადღებო პრაქტიკული რეკომენდაციები რესპუბლიკის მევენახეობისათვის.

განსაკუთრებული გამოხმაურება და აღიარება პოვა ლ. ჯაფარიძის გამოკვლევებმა მცენარეთა სქესის ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური გამიჯვნის პრობლემაზე. ამ საკითხებს მიეძღვნა მისი სადოქტორო დისერტაცია და ცნობილი ორტომიანი მონოგრაფია „სქესი მცენარეებში“.

გამოჩენილი ბიოლოგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან ჯაფარიძის დამსახურება ღირსეულად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

ლევან ჯაფარიძე გარდაიცვალა 67 წლისა, მაშინ, როცა კიდევ ბევრის გაკეთება სურდა და შეეძლო. განყოფილებას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე შეუცვლელად ხელმძღვანელობდა, მისი სახელი ჰქვია, ხოლო საქმეს, ასეთი თავდადებით რომ ემსახურა მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, ერთგულად განაგრძობენ გამოჩენილი მეცნიერის აღზრდილები და კოლეგები.

ს. დურმიშიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

შ. ჭანიშვილი,
ბოტანიკის ინსტიტუტის ლ. ჯაფარიძის სახელობის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების გამგე.

მოვლენის წინ

აჟღერდება ბიჭვინთაში

ამ ზაფხულის დღეებში, როცა სახელგანთქმული კურორტი ბიჭვინთა მასპინძლობს მრავალრიცხოვან საბჭოთა და საზღვარგარეთელ სტუმრებს, დროშებს აღმართავს სამი წლის წინათ საქართველოს სახალხო არტისტის ლიანა ისაკაძის ინიციატივით შობილი კამერული მუსიკის საკავშირო ფესტივალი.

15 ივლისს X საუკუნის ძეგლის — ბიჭვინთის ტაძრის თაღებქვეშ აჟღერდება მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“ მელოდია, რომელიც მუსიკის ამ დღესასწაულის „დევიზად“ იქცა.

შვიდ საფესტივალო კონცერტზე შესრულდება ოცდაათზე მეტი ნაწარმოები, რომლებიც წარმოადგენენ რუსული და საზღვარგარეთული კლასიკის, საბჭოთა მუსიკის შედევრებს. მათი ინტერპრეტატორები გახდებიან ქვეყნის საუკეთესო დირიჟორები — გ. როჟდესტვენსკი, ს. სონდეცკისი, ლ. ისაკაძე, გამოჩენილი შემსრულებლები ნ. პეტროვი, ვ. პოსტნიკოვა, ი. მონიგეტი, ა. როჟდესტვენსკი, დ. ალექსეევი, ვ. კრაინევი, ტ. გრინდენკო, ა. ლიუბიმოვი, ბ. პანკო, დ. სკანავი, გ. კონიაევი, ე. ისაკაძე, ს. გოხაშვილი, ნ. კიკნაძე. ფესტივალის ერთ კონცერტს, რომელიც მთლიანად მიეძღვნება მოცარტის შემოქმედებას, უდირიჟორებს ლაიფციგის გევანდჰაუზის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, საბჭოთა მუსიკის დიდი მეგობარი და პოპულარიზატორი კურტ მაზური. ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ცნობილი იაპონელი მომღერალი ტომაკო საკურაი.

ბიჭვინთის ფესტივალზე, კერძოდ, შესრულდება იოჰან სებასტიან ბახის „ბრანდენბურგის კონცერტი“.

პირველად საქართველოში აჟღერდება ჩეხი კომპოზიტორის კოჟელუხისა და ამერიკელი კომპოზიტორის იოჰან ქრისტიან ბახის კონცერტები ფორტეპიანოსა და ოთხი ხელისათვის.

დღესასწაულის მთავარი „გმირი“ კვლავ იქნება საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კამერული ორკესტრი. წელს ფესტივალის სცენაზე გამოვლენ არა მარტო სახელგანთქმული, ტიტულიანი მუსიკოსები, არამედ ისინიც, ვინც პირველ ნაბიჯებს გადადგამს დიდ ხელოვნებაში. ეს არის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პიონერთა სასახლის ინტერნაციონალური გუნდი, რომელიც შეასრულებს პერგოლეზის ნაწარმოებს.

აფიშაზეა აგრეთვე ნ. გაბუნიას „იგავი“ სამი ხმისა და კამერული ორკესტრისათვის და ს. ნასიძის მესამე კამერული სიმფონია. (საქინფორმი).

„სიმდი“ საფესტივალოდ ემზადება

სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „სიმდს“ წარმატება ხვდა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. ახლახან „სიმდი“ იემენიდან დაბრუნდა. ოსმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით მოხიბლეს იემენელები. მათ პროგრამაში იყო ცეკვები — „მიპატიჟება“, „ჯიგიტების ცეკვა“, „ახალგაზრდული“.

და აი, ცეკვის ოსტატები მიწვეულნი არიან მოსკოვის სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალზე.

ყველაფერი მიმზიდველი უნდა იყოს. ყველა ცეკვა და სიმღერა მაღალოსტატურად შესრულებული — ამ პასუხისმგებლობის გრძნობით არის გულანთებული ანსამბლის თითოეული მოცეკვავე და ისინი მუხლჩაუხრელად იღვწიან დიდი გამარჯვებისათვის.

(საქ. კორ.).

სპორტი

თავი ისახელეს

ზაურ ივანაშვილი, ჯემალ ბაკურიძე და ეგია მუსოიანი მსოფლიო ჩემპიონები არიან
თამაზ ინდუაშვილი ვერცხლის მედლის ლაურეატია

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ კოლორადო-სპრინგსში დამთავრდა ახალგაზრდა ათლეტთა ორი მსოფლიო ჩემპიონატი — თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში (20 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის). სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ამ ორივე შეჯიბრებაში 12 ოქროს, 4 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გარდა ამისა, როგორც კლასიკური, ისე თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ.

სხვებთან ერთად ორივე საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ საქართველოს წარმომადგენლებიც, რომელთაგან თავისუფალ ჭიდაობაში ოქროს მედალი მოიპოვა სოხუმელმა ეგია მუსოიანმა (57 კგ), ხოლო თბილისელი თამაზ ინდუაშვილი (90 კგ) ვერცხლის მედალს დაეუფლა. კლასიკურ ჭიდაობაში ორი მსოფლიო ჩემპიონი გვყავს: თბილისელები ჯემალ ბაკურიძე (74 კგ) და ზაურ ივანაშვილი (90 კგ).

სურათებზე: მსოფლიო ჩემპიონები ზ. ივანაშვილი, ჯ. ბაკურიძე და ე. მუსოიანი.

კიდევ ერთი ოქროს მედალი

ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული ასპარეზობანი

სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში გრძელდება ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული ასპარეზობანი.

დაიწყო ამ ასპარეზობათა პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში. საქართველოს წარმომადგენლები თამაშობენ სევასტოპოლის ქვეჯგუფში. პირველი შეხვედრა მათ გამართეს აზერბაიჯანელებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს დ. პაიჭაძემ და ვ. მიქაძეიძემ. ესტონელებმაც ასეთივე ანგარიშით მოუგეს შეხვედრა ტაჯიკებს. საქართველოს ფეხბურთელები ქვეჯგუფში მორიგ მატჩებს გამართავენ ტაჯიკებთან (11 ივლისს), ესტონელებთან (13-ში) და უკრაინელებთან (17-ში).

ლენინგრადში მოასპარეზე საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები ფინალურ ტურნირში დაუმარცხებლად მიიწევს წინ. ჩვენმა კალათბურთელებმა მორიგი მატჩები მოუგეს მოლდაველებს (91:59) და ლიტველებს (90:72). აქვე წარმატებით ასპარეზობენ ივეხი რესპუბლიკის ჩოგბურთელები. გოგონათა წყვილების ნახევარფინალისაკენ გაიკაფეს გზა ძესხძა და გერაძემ, აგრეთვე ტრაპაიძემ და ბოკუჩავამ, ვაჟთა წყვილების ნახევარფინალში კი გავიდნენ მეტრეველი-ძირიანაძვილი და გაბოიხიეკაჭარავა. შერეულ წყვილთა მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მესხი-გაბრიიძემ და ტრაპაიე-მეტრეველის „დუეტებმა“.

მინსკში მიმდინარე წყალმხტომელთა შეჯიბრებაზე ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში თავი ისახელა თბილისელმა დიანა მჭედლიძემ. მან ამ სახეობაში ოქროს მედალი მოიპოვა.

სპორტულ ტანვარჯიშში ასპარეზობაზე, რომელიც ოდესაში მიმდინარეობს, საქართველოს ჭაბუკთა გუნდი ჯერჯერობით მეექვსე ადგილზეა.

შემოგვიინახა ძველმა თბილისმა

ახლახან თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ქართული დუდუკის საღამო. აქ სტუმრად იყო მედუდუკეთა ანსამბლი „ქართლი“.

კარგა ხანია მსმენელმა შეიყვარა ეს ხალხური შემოქმედებითი კოლექტივი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია დუდუკის მოტრფიალე და თაყვანისმცემელი, რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი ვახტანგ ბიჭიკაშვილი. ანსამბლის რეპერტუარშია ქართული ხალხური ჰანგები და ძველი თბილისის ფოლკლორული მოტივები, სისხლხორცეული რომ იყო მრავალეროვანი ქალაქისათვის. სიმღერებს ასრულებდნენ ვ. ბიჭიკაშვილი და თ. გიგაური, მ. კელაპტრიშვილი, ჯ. მუხიგულაშვილი, ე. ედიშერაშვილი, მ. მაისურაძე. ანსამბლს შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტმა მ. ჩიხლაძემ.

ქართული ქალაქური ფოლკლორის აღდგენა-განვითარების საქმეში დღეს სასიკეთო ძვრებია. ამ საქმის ერთ-ერთი მოამაგეა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებული კლუბის „ქართული დუდუკის“ თავმჯდომარე ტ. ნაცვლიშვილი — მედუდუკეთა ანსამბლის შექმნა-ჩამოყალიბების ორგანიზატორი. მისი ინიციატივით საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში ამჟამად 9 მედუდუკეთა ანსამბლია, რომლებშიც გაერთიანებული არიან ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მუსიკოს-შემსრულებლები.

ამ საღამოს თაოსანი კი გახლდათ საქართველოს მუსიკოსთა და ქორეოგრაფთა საზოგადოება. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდიკური ცენტრი და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლი.

ვ. ზაუტაშვილი.

ჭადრაკის დაფებთან

ჟელეზნოვოდსკში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობაზე საზონათშორისო შეჯიბრების 14 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ნ. გურიელმა დაამარცხა მ. ივანკა, ნ. გაფრინდაშვილმა — მ. მურეშანი, ნ. ჰოიბერგმა — რ. კადილკარი, ა. ბრუსტმანმა — ჯ. არბუნიჩი, არბუნიჩმა — ე. გლაზი. კადილკარი დაუზავდა გაფრინდაშვილს, მურეშანი — ლიტინსკაიას. ბოლო, მეთხუთმეტე ტურის წინ მოჭადრაკეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთი იყო: ლიტინსკაია 10,5 ქულა, ვუ მინგ ციენი — 9,5, გურიელი, ლ. ზაიცევა და ბრუსტმანი — 9-9, გაფრინდაშვილი და ს. მატვეევა — 8,5-8,5, მურეშანი — 8, არბუნიჩი — 7, ჰოიბერგი — 6,5, გლაზი — 6, ივანკა — 5,5, კადილკარი — 5, ლუმილანი — 4, პ. ფერერ-ლუკასი — 3, ჯ. ლემელ-არიასი — 2,5 ქულა.

სატურნირო ორბიტა

ფრენბურთი. გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ქალთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრების საწყისი ეტაპის ბოლო მატჩები. შედეგები ასეთია: გფრ — სსრ კავშირი II — 3:0, კუბა-ჩეხოსლოვაკია — 3:0, სსრ კავშირი I-იაპონია — 3:0. ამრიგად, პირველ-მეოთხე ადგილებზე გამოვიდნენ კუბის (5 ქულა), სსრ კავშირის პირველი (4), ჩეხოსლოვაკიის (3) და იაპონიის (1) გუნდები და ისინი ახლა ფინალურ ეტაპზე გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს. სსრ კავშირის მეორე და გფრ-ის გუნდები ერთმანეთს მეხუთე ადგილისათვის შეხვდებიან.

წყალბურთი. ესპანეთის ქალაქ სევილიაში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე სსრ კავშირის ნაკრებმა 12 შესაძლებლიდან 12 ქულა დააგროვა და პირველ ადგილს დაეუფლა. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: იუგოსლავია — 10 ქულა, გფრ — 7, აშშ — 6, ესპანეთი — 3, საფრანგეთი და კუბა — 2-2 ქულა.

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასავლეთის ზონაში მოასპარეზე საქართველოს ორივე კოლექტივმა ოცდამეერთე ტურის მატჩები სტუმრად გამართა და ორივე დამარცხდა: ბათუმის „დინამო“ — სტავროპოლის „დინამოსთან“ (1:2), ხოლო ლანჩხუთის „გურია“ — ორჯონიკიძის „სპარტაკთან“ (1:2). ამ ზონაში ბოლო ტურის წინ პირველ ექვსეულში არიან რიგის „დაუგავა“ — 27 ქულა, ლვოვის ასკ „კარპატი“ — 23, ნიკოპოლის „კოლოსი“ და ბათუმის „დინამო“ — 21-21, აბოვიანის „კოტაიკი“ — 20 და სტავროპოლის „დინამო“ — 19 ქულა. „გურია“ 17 ქულით მერვე ადგილზეა; აღმოსავლეთის ზონის პირველ ექვსეულში არიან იაროსლავლის „შინიკი“ — 24 ქულა, ხაბაროვსკის ასკ, ცსკა და დუშანბეს „პამირი“ — 23-23, ვოლგოგრადის „როტორი“ — 22 და მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 20 ქულა. ბოლო ტურის მატჩები გაიმართება 12 ივლისს და საბოლოოდ გაირკვევა, თუ ვინ ითამაშებს მომდევნო ეტაპზე ამ ორი ზონიდან 12 საუკეთესო კოლექტივს შორის.

წყლის თხილამურებით ასპარეზობა. იაროსლავლსა და ანდროპოვში დამთავრებულ რუსეთის ფედერაციისა და საფრანგეთის გუნდების ტრადიციულ მატჩზე წარმატებით იასპარეზა დუბნელმა იგორ ლიხაჩოვმა. მან ყველას აჯობა მრავალჭიდში, [illegible]

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სესიამ, რომელმაც 1984 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები განიხილა, ქართული არქეოლოგიისათვის საჭირბოროტო მრავალი პრობლემა წამოჭრა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე.

ქართული არქეოლოგიის თვალსაწიერი

მიწისქვეშა საუკუნეები

— სამეცნიერო სესიამ მეტნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვიქმნა საქართველოში შარშან გაწეულ, არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაზე. აქ წარმოდგენილი იყო ადამიანთა საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა ეპოქის (ქვის ხანის ადრეული საფეხურებიდან ვიდრე გვიანდელ და საშუალო საუკუნეებამდე) მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლები: ნასახლარები და ნაქალაქარები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სამაროვნები, წარმოების ნაშთები, კერამიკა, მინისა და ლითონის ნაწარმი, წარწერიანი და რელიეფურგამოსახულებიანი ქვის სტელები და მრავალი სხვა, რაც უმდიდრესსა და პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის შესასწავლად. დისკუსიის მონაწილეთა საერთო აზრით, სესია მაღალ დონეზე წარიმართა, რაც იმანაც განაპირობა, რომ მოხსენებები ილუსტრირებული იყო ფერადი დიაპოზიტივებით, სპეციალისტ არქეოლოგებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ცალკეულ ექსპედიციათა როგორც საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდიკას, ისე გათხრების გრაფიკული ფიქსაციის დოკუმენტაციასაც. აღსანიშნავია არქეოლოგიურ ძეგლთა ძიებისას აეროფოტოგადაღებისა და გეოფიზიკური მეთოდების გამოყენება.

— **სესიის მონაწილენი ინტერესით შეხვდნენ ვანის ექსპედიციის შედეგებს. იქნებ, ფართო საზოგადოებისთვისაც ორიოდ სიტყვით მაინც მოგვითხროთ უახლეს საინტერესო აღმოჩენებზე.**

— ორიოდ სიტყვით უთუოდ გამიჭირდება, მაგრამ ვეცდები არსებითს მაინც გავუსვა ხაზი: შარშანდელი ვანის სამუშაოები კვლავ ახალი და საკმაოდ საინტერესო აღმოჩენებით აღინიშნა. ესენია: ძვ. წ. V-I საუკუნეების კოლხური და საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრიდან იმპორტირებული კერამიკა, მონეტები, თავდაცვითი ნაგებობანი, ძვ. წ. II-I საუკუნეების არქიტექტურულად გაფორმებული ქვის ფილებით შედგენილი და ორნამენტირებული ოქროს ფირფიტა. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული, როგორც ჩანს, სარიტუალო მოედანი, სადაც უაღრესად ნატიფი ფორმებითა და მრავალფეროვანი გეომეტრიული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა. იქვეა მთელი წყება ცხოველთა ქანდაკებებისა: გამომწვარი თიხისგან დამზადებული ვერძი, ხბო, ღორი, ირემი. საგანგებოდ აღსანიშნავია აგრეთვე ვანის ნაქალაქარის მახლობლად, სოფელ სულორში ნაპოვნი ბრინჯაოს შესანიშნავი კოლხური ცული, რომლის ყუაზე მჯდართა სკულპტურული გამოსახულებაა ლაჟვარითა თუ კვეთხით, აგრეთვე ისრებიანი კავარჭით ზურგზე. ეს უნიკალური ცული ძვ. წ. VII საუკუნით თარიღდება და „დიდი ქალღმერთის“ მხედრებს გამოხატავს. ძველი კოლხური მხატვრული კულტურის ეს ნიმუშებიც უთუოდ დაამშვენებენ ვანში ახლად აგებული არქეოლოგიური მუზეუმის გამოფენას, რომლის გახსნა წლეულს სექტემბერში შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილი IV სიმპოზიუმისათვის ივარაუდება.

— **ხომ არ დაგვიკონკრეტებდით სიმპოზიუმის მიზანსა და მნიშვნელობას?**

— როგორც ცნობილია, 1977 წლიდან წყალტუბოში რეგულარულად იმართება საკავშირო სიმპოზიუმები, რომელთა ორგანიზატორიც ჩვენი არქეოლოგიური კვლევის ცენტრი გახლავთ. სიმპოზიუმების მასალები (მოხსენებები და დისკუსიები) ცალკე წიგნებად ქვეყნდება და მათ უკვე მიიპყრეს ყურადღება მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში. მაგალითად, იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ფართოდ გამოეხმაურნენ ამ მასალებს, წლეულს გაიმართება IV სიმპოზიუმი, რომელიც VII-V საუკუნეების ეთნოკოლიტიკურ გაერთიანებებსა და ბერძნულ სამყაროსთან მათს ურთიერთობას მიეძღვნება. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი საზღვარგარეთელი მეცნიერები.

— **რესპუბლიკაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებიდან რომელს მიიჩნევდით ყველაზე შედეგიანად?**

— არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომელმაც უკანასკნელ ათწლეულში უაღრესად ფართო მასშტაბი მიიღო, ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონს მოიცავს და ყოველწლიურად დიდი მეცნიერული თუ მხატვრული მნიშვნელობის ძეგლთა აღმოჩენებით აღინიშნება. ჩვენთვის თითოეული არქეოლოგიური აღმოჩენა დიდი მნიშვნელობისაა, და ამდენად, ყოველი მათგანი შედეგიანად მიმაჩნია.

— **დავუბრუნდეთ სამეცნიერო სესიის მუშაობას: თქვენი აზრით, რომელი მოხსენება გაშუქდა ყველაზე სრულყოფილად და შინაარსიანად?**

— სესია, მოგეხსენებათ, საანგარიშო ხასიათისა გახლდათ, და ამდენად, რომელიმე კონკრეტული მეცნიერული პრობლემის გაშუქებას როდი ისახავდა მიზნად. და მაინც, დისკუსიისას ყურადღება აქცენტირებული იყო ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციისა და არქეოლოგიურ კულტურათა ეთნიკური იდენტიფიკაციის საკითხებზე. მოხსენებათა საფუძველზე ძკვეთრად გამოიკვეთა ძველი კოლხეთის ისტორიის პრობლემები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქუთაისისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები ჩვენს სესიაზე იქნა პირველად წარმოდგენილი. ესენია: ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების ვრცელ ნამოსახლარზე ნაშთები ქალაქის ტერიტორიაზე, ახალი წელთაღრიცხვის IV-VIII საუკუნეების ბაგრატიონ „უქიმერიონის“ ციხე-ქა და სხვა.

— **გარდა საველე-არქეოლოგიურისა, რა მიმართულებით წარმოებს მუშაობა ცენტრში, და რა იყო ამ მხრივ ღირსშესანიშნავი?**

— გარდა თქვენ მიერ დასახელებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა, რომელიც უკანასკნელ წლებში უაღრესად გაფართოვდა, ცენტრი სიღრმისეულად სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის საკვანძო პრობლემებზე. ინტენსიური კვლევის საგანია ძირითადი საქართველოს ადამიანთა პირველადი განსახლების კერები, ადრეული სამიწათმოქმედო კულტურები, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია, არქეოლოგიურ ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაცია, თანამედროვე არქეოლოგიის თეორიისა და ისტორიის საკითხები; მზადდება „საქართველოს არქეოლოგიის“ მრავალტომეული, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი და ბიბლიოგრაფიულ-საცნობარო სისტემა.

იარშან ქინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე (აიოლიის სასულიერო კავშირთან) მოეწყო სიმპოზიუმი, რომელიც მთიულ და ბარის ურთიერთობის პრობლემებს მიეძღვნა.

1984 წელი ერთგვარად პრესტიჟული გამოდგა საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისითაც. მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა არქეოლოგებმა უძასპინძლეს „ახალ აოგონავტებს“ ტიმ სევერინის მეთაურობით; ინგლისში გამოქვეყნდა დ. კაჭარავას სტატია ანტიკური ხანის ძეგლთა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოიცა ქ. ფიცხელაურის ნაშრომი ბრინჯაოს — ადრე რკინის ხანის სამლოცველოებზე და სხვა. საფრანგეთის ჟურნალ „არქეოლოგიის“ ერთ-ერთი ნომერი მთლიანად საქართველოს არქეოლოგიას მიეძღვნა.

ალბათ, გაინტერესებთ, როგორ გვესახება ქართული არქეოლოგიის ხვალინდელი დღე, კვლევა-ძიებათა მასშტაბი ჩვენი რესპუბლიკის ახალმშენებლობებზე: ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიება, არქეოლოგიური ძეგლების სისტემატური აზალიზი, არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა მიღწევების ფართოდ გამოყენება — ასეთია ხვალინდელი ამოცანები ქართული არქეოლოგიისა, რომლის მონაპოვრების გარეშეც შეუძლებელი იქნება ისტორიის ყველა ასპექტის ობიექტური მეცნიერული შესწავლა.

საუბარი ჩაიწერა
ნ. მჭედლიშვილმა.

—რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში—

ქუთაისი

გვაცნობიერებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

შრომითი ბრიგადა ტყიბულიდან

ქუთაისი კარგა ხანია ემზადება თავისი მრავალსაუკუნოვანი იუბილესათვის. ამ მზადებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქის არქეოლოგიურ გათხრებს, სარესტავრაციო და აღდგენით სამუშაოებს. ყოველდღიურად ასობით ქუთაისელი მონაწილეობს ბაგრატის ტაძრის რესტავრაციისა და არქეოლოგიურ გათხრებში. ამ სამამულიშვილო საქმეში აქტიური მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს მეზობელი ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმაც. ახლახან ქუთაისში ჩამოვიდა ტყიბულელთა შრომითი ბრიგადა, რომელიც თავიანთი ტექნიკითა და სახსრებით მუყაითად შრომობს.

— ჩვენ სიხარულით შევხვდით წინადადებას, — გვითხრა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. მარგალიტაძემ, — მონაწილეობა მივიღოთ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში, კერძოდ, გვეშუშავა ბაგრატის ტაძრის ადრინდელი ზღუდე-კედლების აღდგენაზე. და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენთვის დიდი პატივია ამ მამულიშვილურ საქმეში მონაწილეობა.

სასიხარულო სტატისტიკა

ქალაქში დღითი დღე მატულობს ახალი ოჯახების რიცხვი. სტატისტიკური მონაცემებით, მარტო შარშან 1646 ახალი ოჯახი შეიქმნა, ხოლო წლეულს — 862.

რაიონულ მმაჩის განყოფილებებთან შეიქმნა ახალდაქორწინებულთა კლუბები, ტრადიციად დამკვიდრდა მრავალშვილიან დედებთან და ახალდაქორწინებულებთან შეხვედრები, ლექცია-საუბრები ქორწინებისა და ოჯახის, მორალისა და ზნეობის, მედიცინის საკითხებზე.

საფესტივალო პროდუქცია

მშრომელთა სუფრებს მუდამ ამშვენებს ქუთაისელ მეკონდიტრეთა ნახელავი. მათ ერთ-ერთ ახალ ნამცხვარს („მეგობრობა“) მოსკოვის მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII ფესტივალის ემბლემა ამშვენებს. პროდუქციის გამოშვება ფესტივალის დღეებში დაიწყება.

არდავიწყება

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ქალაქის ერთერთ ქუჩას გრიგოლ ნარსიას სახელი მიეკუთვნა.

ჯერ კიდევ 1937 წელს ჩაუდგა სათავეში ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციას ახალგაზრდა კომუნისტი გრიგოლ ევსევის ძე ნარსია, რომელიც საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. მისი სახელი დაკავშირებულია ომამდელი და შემდგომი პერიოდის ქალაქის ზრდასთან და განვითარებასთან. ერუდირებულმა და უშრეტი კომუნისტმა ბევრი იღვაწა იმისათვის, რომ ქუთაისი გადაქცეულიყო რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე ქალაქად. ამიტომაც მიაგეს ესოდენ დიდი პატივი მის ნათელ ხსოვნას მადლიერმა მშრომელებმა.

სამისამართო ბიუროში

წელიწადნახევარია, რაც ქალაქის მშრომელთა სამსახურში ჩადგა სამისამართო ბიურო, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მისმა მუშაკებმა მშრომელთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

ბიურო, რომელსაც დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ყოფილი ჩეკისტი, 14 ორდენისა და მედლის კავალერი, გრ. კილაძე ხელმძღვანელობს, თავის კართოტეკაში 191 ათას ერთეულს ითვლის და ქალაქის ინტერნაციონალური შემადგენლობის თავისებური ანკეტაცაა: საბჭოთა ქვეყნის მრავალი ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად აქ შეხვდებით უნგრელს, გერმანელს, ჩინელს და სხვ. კართოტეკებიდან იმასაც ვიგებთ, რომ ქუთაისში ცხოვრობენ და შრომობენ ცნობილ პიროვნებათა მოგვარე-სეხნიები. მაგალითად, ორი აკაკი წერეთელი, ერთი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ერთიც — პეტრე ბაგრატიონი.

დ. გედენიძე.

სურათზე: ვ. კიკვიძის სახელობის მოედანი.
ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეები — 99-94-03, 99-02-09, პ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსის ტ უ ლ. ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-24, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-69-21, მშრომელთა წერილების — 99-72-24, ილუსტრაციის — 93-24-54, [illegible]

საგამომცემლო-[illegible]: [illegible]

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

11 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — კონცერტი. 10.05 — ცხოველთა სამყაროში. 11.05 — დოკუმენტური ფილმი. 11.15 — მხატვრული ტელეფილმი „ივანე პავლოვი. ჭეშმარიტების ძიება“. III სერია. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — მეცნიერებისა და შრომის კავშირი. სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 16.20 — მხატვრული ფილმი „ბავშვობის უკანასკნელი ზაფხული“. III სერია. 17.25 — ახალი ამბები. 17.35 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 18.20 — კონცერტი. 18.45 — სახალხო რევოლუციის დღე — მონღოლეთის ეროვნული დღესასწაული. დოკუმენტური ფილმი. „დიად საქმეთა წლები“. 19.15 — კონცერტი (მონღოლეთი). 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — კონცერტი. 20.20 — „გადამწყვეტი მიმართულება“. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „ივანე პავლოვი. ჭეშმარიტების ძიება“. IV სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — საღამოს მელოდიები. 23.25 — დღეს მსოფლიოში. 23.40 — საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში. ქალები. ფინალური ჯგუფის გუნდების მატჩი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.25 — მხატვრული ფილმი. 10.45 — ისტორიის ფურცლები. მარადიული ათენი. 11.35 — მულტფილმები. 11.55 — მოსწავლეთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირთან ვ. ზაიცევთან. 12.45 — ესპანური ენა. 13.15 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ცისფერი საფირონის ბეჭედი“. 14.20 — დრამატურგია და თეატრი. ბ. შოუ. 15.05 — ჩვენი ბაღი. 15.35 — მ. ვ. ლომონოსოვი — ლიტერატორი. 16.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — საჭადრაკო სკოლა. 19.50 — ვ. უსპენსკი — „ეძღვნება მამაცობას“. სიმფონიური პოემა. 20.00 — სოფლის საათი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — რიტმული ტანვარჯიში. 21.45 — ხალხური მელოდიები. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „ახალგაზრდები“. 0.05 — ახალი ამბები.

თბილისი

11 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“. 10.35 — საიდან ხარ, ახალგაზრდობავ! — საესტრადო კონცერტი. 10.55 — არდადეგები, არდადეგები... — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „თქვენთან დავრჩები“. 12.15 — საბჭოური ცხოვრების წესი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ანა ტიხონის ასული“ და „საშემოდგომო ანგარიში“. 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (სტუდიაშია დ. ჯოხაძე). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — დოკუმენტური ფილმი „ჩემი სახლი — მსოფლიოს ერთი მეექვსედი“. 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.45 — „წიგნი — ჩემი მეგობარი“. 18.10 — საბავშვო-იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 18.20 — განცხადებები. 18.25 — საქართველოს საფეხბურთო მიმოხილვა. 18.55 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“. საკვებმოპოვების პრობლემები. 19.10 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.25 — მოამბე. 19.55 — რევაზ ლაღიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ახალგაზრდობისათვის — „დიალოგი გიგა ლორთქიფანიძესთან“. 23.35 — საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში: ფინალური ჯგუფის მატჩი.

მეორე პროგრამა. 16.50 — [illegible]

რედაქტორი
ბ. [illegible]

[illegible]